პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი | № 253 (11559) | ხუთშაბათი, 29 ოქტომბერი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის ციხე-სიმაგრეს, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ურყევ ბურჯს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავისათვის.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია



მ ო ს კ ო ვ ი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია. კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 27 ოქტომბრის გაერთიანებული სხდომა. ტრიბუნაზეა — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე, დეპუტატი ა. ნ. კოსიგინი.

ფოტო ა. ბატანოვისა და ვ. ხობოლევისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

# ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა

### თბილისი—სტალინის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ეპოქა მდიდარია ისტორიული მოვლენებით. მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმა ჰუმანური იდეები ეუფლება მთელი მსოფლიოს სულ ახალ და ახალ მილიონობით ადამიანთა გულს. ვითარდება და მტკიცდება სოციალიზმის დიადი ბანაკი. სულ უფრო აშკარა ხდება სოციალისტური სისტემის უპირატესობა კაპიტალისტური სისტემის წინაშე. საბჭოთა კავშირი, როგორც მთელი პროგრესული ძალების მძლავრი ბურჯი, მსოფლიოს უჩვენებს იმის ახალ დადასტურებას, რომ მხოლოდ სოციალისტური წყობილება უქმნის ხალხს ისეთ პირობებს, როცა მას შეუძლია სავსებით გაშალოს თავისი შემოქმედებითი ძალები და ცხადყოს, თუ რა ძლუძს თავისუფალ ადამიანს.

ამჟამად ჩვენი ხალხი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით იბრძვის ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის. პროგრესული კაცობრიობა სულ უფრო და უფრო რწმუნდება ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს თანმიმდევრულ, მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკაში.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ისტორიულმა ვიზიტმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ მხრივ ახალი ფურცელი გადაშალა. საბჭოთა მთავრობის მეთაურის ყველა გამოსვლა ამერიკაში ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების ლენინური იდეების შემდგომი განვითარებისა და შემოქმედებითი გამდიდრების ბრწყინვალე ნიმუშია, შესანიშნავი მაგალითია ლენინური პრინციპულობისა და თანმიმდევრულობისა მუშათა კლასის, მთელი კაცობრიობის ინტერესების დაცვაში. ამ მოგზაურობის შედეგად მსოფლიო პოლიტიკაში გაჩნდა სულ უფრო მეტი ნიშანი, რომლებიც მოწმობენ ქვეყნების მზარდ მისწრაფებას საერთაშორისო თანამშრომლობისადმი.

საბჭოთა ხალხმა, რომელიც ქმნის სოციალიზმს, აშენებს ახალ ურთიერთობას ადამიანთა შორის, იცავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართ, გმირული ბრძოლისა და თავდადებული შრომის სახელოვანი გზა განვლო. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მთელი საქმიანობა იმის მკაფიო მაგალითია, რომ ადამიანებისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა ჩვენი საზოგადოების განვითარების მთავარი, უმაღლესი კანონია. ჩვენს ხალხს კარგად აქვს შეგნებული, რომ დიადი შვიდწლედი ის გზაა, რომლითაც მივდივართ კომუნიზმისაკენ. სწორედ ამით აიხსნება მთელი საბჭოთა ხალხის ის დიდი შემოქმედებითი აღმავლობა, ის შესანიშნავი წარმატებანი, რომლებიც აქვს ჩვენს მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, მეცნიერებასა და კულტურას. ყოველმა საბჭოთა ადამიანმა იცის: რაც უფრო ადრე გავივლით ამ გზას, მით უფრო ახლოს ვიქნებით სანუკვარ მიზანთან.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს ეს სესია შეიკრიბა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავის წინ, ისეთ ვითარებაში, როცა საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელი ძალღონის დაუშურებლად იბრძვის შვიდწლედის პირველი წლის დავალებათა განხორციელებისათვის. სამრეწველო წარმოების მოცულობა 1959 წლის 9 თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12 პროცენტით გადიდდა. შვიდწლედის პირველი წლის სამ კვარტალში მიღწეული შედეგების მიხედვით, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ სამრეწველო პროდუქციის გამოშვების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, დაგროვების ოდენობის მხრივ ჩვენი ქვეყანა გადაჭარბებით შეასრულებს წლიურ დავალებებს.

ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მოძმე ხალხის მხარდამხარ შრომობენ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და მშრომელი ინტელიგენცია. ჩვენმა რესპუბლიკამ პირნათლად შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის ნაკისრი ვალდებულებანი. საქართველოს მეჩაიეებმა მოკრიფეს 140 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი და გადადგეს დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იმისათვის, რომ შვიდწლედის ბოლოს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფა აყვანილ იქნას 200 ათას ტონამდე. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გულითადმა მისალმებამ, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს მეჩაიეთა შრომითს გმირობას, კიდევ უფრო აღაფრთოვანა საქართველოს მშრომელები სხვა ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. მიმდინარე წელს საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში შეასრულეს ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო და, შემოდგომის ცუდი ამინდის მიუხედავად, მიღებულია მეტი პროდუქცია, ვიდრე წინა წლებში. სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის მიყიდვის გეგმები სრულდება და უთუოდ გადაჭარბებით შესრულდება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა განვითარდა მრავალდარგოვან მეურნეობად. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჩაისთან ერთად აწარმოებენ სხვა ძვირფას პროდუქტებსაც, რომლებსაც საერთო-საკავშირო მნიშვნელობა აქვთ. ასეთი პროდუქტებია ყურძენი, თამბაქო, ციტრუსები და სხვა ხილი, ეთერზეთოვანი და სხვა კულტურები. ამიტომ მათი წარმოების შემდგომი მნიშვნელოვანი ზრდის საკითხები საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელის ყურადღების ცენტრშია.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა წარმატებით შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვების ცხრა თვის გეგმა. გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით მიღწეულია სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ზრდა 9,3 პროცენტით. მთლიანად და გადაჭარბებით სრულდება თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, ფოლადის მილების წარმოების, მარგანეცის მადნის მოპოვების, ლითონსაჭრელი ჩარხების, სატვირთო ავტომობილების, სამაგისტრალო ელმავლების წარმოების, ცემენტის, ბამბის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილების, ფეხსაცმლის, ნატურალური ჩაის, ხორცისა და სახალხო მოხმარების სხვა საგნების გამოშვების მიმდინარე წლის გეგმა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მრეწველობის ისეთი დარგების მნიშვნელოვანი განვითარება, როგორიც არის ელექტროტექნიკური, რადიოტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობა. საკმარისია ითქვას, რომ უკვე მიმდინარე წელს, შვიდწლედის პირველ წელს, ელექტროტექნიკური მრეწველობის პროდუქციის გამოშვება შარშანდელთან შედარებით 34,5 პროცენტით გადიდდა, რადიოტექნიკურისა — 40,9 პროცენტით, ხოლო ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობისა — 3-ჯერ.

კომუნისტური მშენებლობის პროგრამის წარმატებით განხორციელებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ივნისის პლენუმის დადგენილებებს. როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ისე ჩვენს რესპუბლიკაში გაიშალა დიდი მუშაობა მრეწველობის ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისათვის, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განხორციელებისათვის. თუმცა ჯერ კიდევ ცოტა დრომ განვლო, მაგრამ უკვე შესამჩნევია განხორციელებულ ღონისძიებათა რეალური შედეგები, რამაც გავლენა მოახდინა შრომის ნაყოფიერების ზრდაზე, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და მისი თვითღირებულების შემცირებაზე. უფრო ძლიერად ჩქეფს კონსტრუქტორთა, ინჟინერთა, რაციონალიზატორ მუშათა შემოქმედებითი აზრი. მათ შემოაქვთ და ხორციელდება მრავალი წინადადება, რომლებიც დიდ ეკონომიურ ეფექტს იძლევა.

მოწინავე ტექნიკის დანერგვისა და წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებისათვის ბრძოლაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ კომუნისტური შრომის ბრიგადები. მათ დიდი მუშაობა გასწიეს მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის, მოძველებული მოწყობილობის შეცვლისა და მისი მოდერნიზაციის, აგრეთვე ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის დარგში.

მუშათა კლასის წიაღში წარმოშობილი, ჩვენი ეპოქის შესანიშნავი მოძრაობა — კომუნისტური შრომის ბრიგადების, ვალენტინა გაგანოვას მიმდევართა მოძრაობა, მოასწავებს ახალი ადამიანის — კომუნისტური საზოგადოების მსოფლმხედველობისა და სულიერი სახის ადამიანის შექმნას.

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის გეგმის პროექტი და სსრ კავშირის 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ წარმოადგინა ამ სესიის დასამტკიცებლად, ასახავენ შვიდწლიანი გეგმის უმნიშვნელოვანეს ამოცანას, რომელიც გამოხატულია მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობით მძიმე ინდუსტრიის უპირატესი ზრდის, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური პოტენციალის მნიშვნელოვანი გაძლიერების ბაზაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის განუწყვეტელი ამაღლება. ეს დოკუმენტები სწორად ასახავენ როგორც საერთო-საკავშირო ინტერესებს, ისე ყოველი მოკავშირე რესპუბლიკის განვითარების ინტერესებს.

1960 წლის გეგმა უზრუნველყოფს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას. მნიშვნელოვნად გადიდდება რესპუბლიკის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია, ამასთან მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქცია გადიდდება 33 პროცენტით და მეტით, ელექტროენერგიის წარმოება — 19 პროცენტით, და ქიმიური მრეწველობის პროდუქცია — 16,2 პროცენტით. მნიშვნელოვნად გაფართოვდება რესპუბლიკის ენერგეტიკული ბაზა იმ გზით, რომ ამუშავდება ახალი სიმძლავრეები ჰიდროელექტროსადგურებსა და თბოელექტროსადგურებში. დიდი სამუშაოები განხორციელდა ყარადაღ-თბილისის გაზსადენის გაყვანისათვის. მისი სიგრძე 400 კილომეტრს აღემატება. გაზსადენის მშენებლობაზე კარგად იშრომეს გაზის მთავარი სამმართველოს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციის მუშებმა და ინჟინრებმა. მთავრობის პასუხსაგები დავალება გაზსადენის აგების საქმეში ვადამდე შესრულდება.

მნიშვნელოვნად გადიდდება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად 1960 წელს 1959 წელთან შედარებით გადიდდება ავეჯისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და საოჯახო საქონლის წარმოება.

მიმდინარე წელს რესპუბლიკაში მარტო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებებით საექსპლოატაციოდ გადაეცემა 250 ათასამდე კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ხოლო 1960 წელს გათვალისწინებულია გადაეცეს 280 ათასამდე კვადრატული მეტრი. ეს მნიშვნელოვნად აღემატება საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემას წინა წლებში. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ საბინაო მშენებლობის გაშლის ტემპი ჯერ კიდევ აშკარად არ არის საკმარისი. საჭიროა მივიღოთ ყველაზე ენერგიული ღონისძიებანი საბინაო მშენებლობის დასაჩქარებლად, გასაიაფებლად და გასაუმჯობესებლად.

რესპუბლიკაში კაპიტალურ სამუშაოთა გეგმის არადამაკმაყოფილებლად შესრულების ერთ-ერთი არსებითი მიზეზია ჩვენი სამშენებლო ორგანიზაციების სუსტი უზრუნველყოფა ასაწყობი რკინაბეტონის გამოშვების საწარმოო სიმძლავრეებით და სამშენებლო მექანიზმებით არასაკმარისი აღჭურვილობა.

ვიღებთ რა სავსებით სწორ კრიტიკას ჩვენს მიმართ იმის გამო, რომ სერიოზული ნაკლოვანებანია მშენებლობაში — იგი წარმოებს შედარებით ნელი ტემპით, არ სრულდება სამრეწველო და საბინაო მშენებლობის გეგმა, — ჩვენ გავაკეთებთ ყველა საჭირო დასკვნას, რომ გამოვასწოროთ ეს მდგომარეობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებას, და იმედი გვაქვს, რომ ამაში გარკვეულ დახმარებას გაგვიწევს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი.

უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობათა ეკონომიკის განუხრელი განმტკიცებისა და კოლმეურნეთა შემოსავლის ზრდის შედეგად, რაც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საერთო აღმავლობის განუყოფელი ნაწილია, მნიშვნელოვნად გადიდდა საწარმოო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო მშენებლობის მოცულობა საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში. მარტო მიმდინარე წლის გეგმით უნდა დამთავრდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს კოლმეურნეთა და სოფლის ინტელიგენციის 9.300 საცხოვრებელი სახლი, სასოფლო საავადმყოფოები ათასი საწოლით, სკოლები და საბავშვო დაწესებულებანი 34 ათასი ადგილით, მეცხოველეობის სხვადასხვა სადგომი, რომელთა ტევადობა იქნება 124 ათასი სული პირუტყვი და სხვ.

შემოსავლის ზრდასთან დაკავშირებით ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობები ახლა წყვეტენ ისეთ ამოცანებს, რომლებიც ცალკეულ მეურნეობათა ფარგლებს სცილდება. ისინი აერთიანებენ თავიანთ სახსრებსა და ღონისძიებებს და ქმნიან ნაგებობებს, რომლებსაც არსებითად საერთო-სახალხო მნიშვნელობა აქვთ. დიდი მასშტაბით წარმოებს საკოლმეურნეობათაშორისო სკოლა-ინტერნატების, საავადმყოფოებისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობა.

მშენებლობის მოცულობის გადიდებასთან დაკავშირებით შეიქმნა იმის საჭიროება, რომ გაუმჯობესდეს სამუშაოთა ორგანიზაციის ფორმები, განხორციელდეს სასოფლო მშენებლობის ინდუსტრიალიზაცია და მექანიზაცია, გაფართოვდეს ადგილობრივი სამშენი მასალების წარმოება. რესპუბლიკის 40 რაიონში საპაიო საწყისებზე შექმნილია საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებმაც უკვე 1959 წელს უნდა შეასრულონ 200 მილიონამდე მანეთის მოცულობის სამუშაოები.

საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების ტექნიკური აღჭურვა სერიოზული საკითხია, რომელიც უაღრესად ყურადღებით და ღრმად შესწავლის ღირსია, და საკავშირო მგეგმავი ორგანოების დაუხმარებლად მას ვერ გადავჭრით.

პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, რომელთა სისტემაში მცირემნიშვნელოვან როლს როდი ასრულებენ ჩვენი ქვეყნის სანატორიუმები და კურორტები. მიღებულია მთელი რიგი გადაწყვეტილებანი ახალი სანატორიუმებისა და კურორტების მშენებლობის შესახებ. მშრომელთა მკურნალობისა და დასვენების ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები ჯერ კიდევ არ არის მთლიანად გამოყენებული. საკმარისი არ არის ასიგნობანი, რომლებიც ყოველ წელს გამოიყოფა არსებული კურორტების კეთილმოწყობისა და ახალი სამკურნალო — სანატორიული დაწესებულებების მშენებლობისათვის. საჭიროა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინონ ამ მიზნით საქართველოსათვის ფულადი და მატერიალური სახსრების გადიდება.

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის გეგმის პროექტს და სსრ კავშირის 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, რომლებიც შემოტანილია სესიის განსახილველად, უთუოდ მხარს დაუჭერენ ყველა დეპუტატი, მთელი საბჭოთა ხალხი, ისინი გააძლიერებენ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა შემოქმედებითს ენერგიას, მოასწავებენ ახალ ნაბიჯს შვიდწლედის დიდებულ ამოცანათა გადაჭრაში. წინადადება შემომაქვს დამტკიცდეს ჩვენი ქვეყნის 1960 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი. (ტაში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

# ეროვნებათა საბჭოში

27 ოქტომბერს 16 საათზე კრემლის დიდ სასახლეში პალატის თავმჯდომარის დეპუტატ ი. ვ. პეივეს თავმჯდომარეობით გაიმართა **ეროვნებათა საბჭოს სხდომა**. ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **მ. ა იასნოვმა**.

1960 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის პროექტი, თქვა მან, შემუშავებულია შვიდწლედის პირველი წლის დავალებათა შესრულებაში მოპოვებული წარმატებისა და გამოვლინებული დამატებითი რეზერვების გათვალისწინებით, ხოლო სსრ კავშირის 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი სავსებით შეესაბამება სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებებს. კომისიის სახელით ამხ. იასნოვს შეაქვს მთელი რიგი წინადადებანი. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ამბობს დეპუტატი, უნდა გაითვალისწინონ წარმოების ახალი, უფრო პროგრესული ტექნოლოგია და გადასინჯონ ნედლეულისა და მასალების ხარჯვის ნორმები მრეწველობასა და მეურნეობის სხვა დარგებში.

ამხ. იასნოვს წინადადება შეაქვს მოწონებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის გეგმა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი საბიუჯეტო კომისიის შესწორებათა გათვალისწინებით, აგრეთვე დამტკიცდეს ანგარიში 1958 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

შემდეგ სიტყვა ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის თანამოხსენებისათვის ეძლევა კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **ო. ი. ივაშჩენკოს**.

დეპუტატი ივაშჩენკო აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის გეგმის პროექტი, რომელიც შემუშავებულია შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრების შესაბამისად, ითვალისწინებს წარმოების ზრდის მაღალ ტემპს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონისა და კულტურის შემდგომ ამაღლებას. ამასთან ერთად ეკონომიურ კომისიას საჭიროდ მიაჩნია უახლოეს დროში შეიმუშაოს სათბობით მოსახლეობის, განსაკუთრებით სოფელ ადგილებში მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებანი.

ამხ. ივაშჩენკო აღნიშნავს უკრაინის, უზბეკეთის, ყირგიზეთისა და მოლდავეთის რესპუბლიკების კოლმეურნეობათა შესანიშნავ ინიციატივას სკოლების მშენებლობაში. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ამბობს იგი, უნდა გამოძებნონ ცემენტის, სახურავის, ხე-ტყის მასალის, ლითონის, აგრეთვე სანიტარიულ-ტექნიკური და ელექტროტექნიკური ნაწარმის წარმოების გადიდების შესაძლებლობა და მიჰყიდონ კოლმეურნეობებს სკოლების, სამკურნალო და საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობისათვის.

ეროვნებათა საბჭო იწყებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის და 1958 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვას.

კამათში პირველი გამოვიდა დეპუტატი **ტ. ი. კისელიოვი** (ბელორუსიის სსრ). იგი ლაპარაკობს დიდ აქტივობაზე, რომლითაც რესპუბლიკის მშრომელები განიხილავენ და მხურვალედ იწონებენ ამერიკაში ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მოგზაურობის შედეგებს. ბელორუსიის სსრ მუშები, კოლმეურნეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები კისრულობენ გადიდებულ ვალდებულებებს შვიდწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესასრულებლად.

სამრეწველო წარმოების 9 თვის გეგმა მთლიანად ბელორუსიის სს რესპუბლიკაში შესრულებულია გადაჭარბებით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად განხორციელებულია წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, უახლესი მოწყობილობის დანერგვის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ორგანიზაციულ - ტექნიკური ღონისძიებანი. ემზადებიან რა ღირსეულად შეხვდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს, სოფლის მეურნეობის მშრომელებმა აგრეთვე მოიპოვეს დიდებითი შედეგები. გადიდდა ყველა სახეობის პირუტყვის სულადობა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება; სახელმწიფოს მიეყიდა მნიშვნელოვნად მეტი, ვიდრე შარშან, ხორცი და რძე, რესპუბლიკამ ვადამდე შეასრულა მარცვლეულის შესყიდვის გეგმა.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე დეპუტატები **ა. ი. ფედოსეევი** (უკრაინის სსრ) და **ი. იუსუპოვი** (ყაზახეთის სსრ). მათ მხურვალედ მოიწონეს მთავრობის მიერ შეტანილი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები იმ დამატებებით, რომელნიც ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო და ეკონომიურმა კომისიებმა შეიტანეს.

ამით დამთავრდა პალატის სხდომა.

# კავშირის საბჭოში

**კავშირის საბჭოს სხდომაზე**, რომელიც კრემლის თეატრის შენობაში გაიმართა დეპუტატ **პ. პ. ლობანოვის** თავმჯდომარეობით, პალატის საბიუჯეტო კომისიის მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ი. ს. სენინმა**.

მან აღნიშნა, რომ მომავალი წლის გეგმის დიდმნიშვნელოვანი ნიშანია მისი მთავარი მაჩვენებლების უფრო მაღალი დონე შვიდწლედის საკონტროლო ციფრებით მიღებულ დონესთან შედარებით.

საბიუჯეტო კომისია, ამბობს დეპუტატი სენინი, წინადადებას აყენებს მოწონებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი. კომისიას შეაქვს ზოგიერთი კორექტივი, რომლებიც შეეხება აბრეშუმისა და შალის ქსოვილების, ხალიჩების, ტყავის ფეხსაცმლისა და ზოგიერთი სხვა ნაწარმის წარმოებისა და რეალიზაციის დამატებით გადიდებას. გათვალისწინებულია აგრეთვე გადიდდეს ბიუჯეტის შემოსავალი 923,1 მილიონი მანეთით, აგრეთვე გადიდდეს საბინაო ფონდის და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა შენობების კაპიტალური რემონტის, ქალაქებისა და მუშათა დაბების კეთილმოწყობისა და სხვა საჭიროების ხარჯები 650 მილიონი მანეთი საერთო თანხით.

შემდეგ კავშირის საბჭომ დაიწყო მოხსენებების განხილვა. სიტყვა მიეცა დეპუტატ **ვ. ნ. ნოვიკოვს** (რუსეთის სფსრ). შეეხო რა შვიდწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებას რუსეთის ფედერაციაში, მან აღნიშნა, რომ წარმოების ზრდის ტემპით რუსეთის სფსრ მრეწველობამ 1959 წლის განვლილ თვეებში მიაღწია უფრო მაღალ შედეგებს, ვიდრე უკანასკნელ ოთხ წელიწადში. მიმდინარე წლის დადებითმა შედეგებმა შექმნეს საჭირო ბაზა იმისათვის, რომ 1960 წელს გადაიდგას დიდი ნაბიჯი წინ სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების გზაზე.

ტრიბუნაზეა დეპუტატი **ნ. ტ. კალჩენკო** (უკრაინის სსრ). იგი ამბობს, რომ უკრაინის მშრომელები მთელ თავიანთ ძალღონეს, ფიქრებსა და მისწრაფებებს ახმარენ იმას, რომ რაც შეიძლება უკეთ და სწრაფად შეასრულონ შვიდწლედის დავალებანი. რესპუბლიკის მეტალურგებმა და მეშახტეებმა ვალდებულება იკისრეს ხუთ წელიწადში მიაღწიონ შვიდწლედის დამლევისათვის დასახულ დონეს ქვანახშირის ამოღებაში, ფოლადის, თუჯისა და ნაგლინის გამომუშავებაში. კოლმეურნე გლეხობამ პირობა დადო 5 წელიწადში შეასრულოს შვიდწლედი სოფლის მეურნეობის პროდუქტების და უწინარეს ყოვლისა ხორცისა და რძის წარმოების გადიდების მხრივ.

ამხ. კალჩენკომ წინადადება შეიტანა დამტკიცდეს 1960 წლის გეგმა და ბიუჯეტი და გათვალისწინებულ იქნას გეგმით დაშავა-კიევის გაზსადენის მეორე ხაზის მშენებლობა და გამოიყოს დამატებითი სახსრები ჩრდილოეთ დონეც-დონბასის არხის მშენებლობის დასამთავრებლად.

დეპუტატმა **ზ. ს. ომაროვამ** (ყაზახეთის სსრ) ილაპარაკა იმაზე, რომ ყაზახეთის მშრომელები წარმატებით ახორციელებენ შვიდწლედის პირველი წლის პროგრამას. მან მხურვალედ დაუჭირა მხარი წინადადებას, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები, რომლებიც სსრ კავშირის მთავრობამ წარმოადგინა.

შემდეგ გამოვიდა დეპუტატი **ვ. პ. მჟავანაძე**. (ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა ქვეყნდება ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის პირველ გვერდზე — **რედ.**).

ამით დამთავრდა სხდომა.

28 ოქტომბერს სესია განაგრძობდა მუშაობას. (საკდესი).

# ჩვენს დიდ ქვეყანაში

## აღმაფრთოვანებელი კინოდოკუმენტი

27 ოქტომბრიდან მოსკოვის 30 კინოთეატრში, კლუბსა და კულტურის სასახლეში უჩვენებენ ფერად დოკუმენტურ ფილმს „ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკაში“ (დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის ნაწარმოები).

შეუნელებელი ინტერესითა და აღფრთოვანებით უყურებს ადამიანი ამ კინოსურათს, რომელშიც აღბეჭდილია საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიული ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვიზიტი, რომელსაც ხალხი ხატოვნად მშვიდობისა და მეგობრობის მისიას უწოდებს. საბჭოთა ოპერატორებს ყოველდღე გადაჰქონდათ ფირზე ამ შესანიშნავი მოგზაურობის ამბები.

ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრები პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერთან, ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადო, პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეებთან, საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან, საბჭოთა მთავრობის მეთაურის მრავალი გამოსვლა დარბაზობისა და პრეს-კონფერენციების დროს, მისი მოგზაურობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, უდიდესი ინტერესი, რომელსაც ამერიკელები ამ ვიზიტისადმი იჩენდნენ — ყოველივე ეს მკაფიოდ აისახა ფილმში. ზოგიერთი ეპიზოდი გადაღებულია სინქრონულად, მათ შორის ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში, სიტყვა, რომელიც უკანასკნელი დროის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო მოვლენაა.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ გაითვალისწინა საბჭოთა ადამიანების დიდი ინტერესი ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა მთავრობის მეთაურის ვიზიტისადმი და ახალ ფილმს უშვებს რამდენიმე ათას ცალად. მარტო ამ კვირის ბოლომდე ჩვენი სამშობლოს თითქმის ყველა რესპუბლიკური და საოლქო ცენტრის მცხოვრებნი ნახავენ მას. (საკდესი).

## არქტიკის მოდრეიფე ყინულებზე

**ლენინგრადი.** (საკდესი). არქტიკიდან ლენინგრადში დაბრუნდნენ არქტიკული და ანტარქტიკული ინსტიტუტის ექსპედიციის მონაწილენი, რომლებიც ავტომატურ რადიოაპარატურას დგამდნენ ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის მოდრეიფე ყინულებზე.

როგორც საკდესის კორესპონდენტმა ექსპედიციის უფროსმა ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა ვ. გ. მოროზმა გვაცნობა, ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის მთელ რიგ რაიონებში დადგმულია ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ი. კ. ალექსეევის რამდენიმე რადიოკონსტრუქცია. ეს მოწყობილობანი, რომლებსაც აქვთ თავიანთი სიგნალები და ეთერში გასვლის გარკვეული დრო, რეგულარულად გადმოგვცემენ ცნობებს ყინულების დრეიფის მიმართულებისა და სიჩქარის შესახებ.



## შექმნილია დიდი ტელესკოპი

**ლენინგრადი**, ოპტიკურ-მექანიკურ ქარხანაში შექმნილია ჩვენს ქვეყანაში უდიდესი ტელესკოპი, რომლის სარკის დიამეტრი 2.600 მილიმეტრია. იგი განკუთვნილია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ყირიმის ასტროფიზიკური ობსერვატორიისათვის და გამოყენებული იქნება ვარსკვლავთა ატმოსფეროებში ბირთვული პროცესების, სამყაროს, მთვარისა და მზის სისტემის პლანეტების აღნაგობის შესასწავლად. ტელესკოპი აგებულია თანამედროვე ავტომატიკისა და ტელემექანიკის უახლესი მიღწევების გათვალისწინებით. მისი მოძრავი ნაწილი, რომელიც 70 ტონას იწონის, შეიძლება მობრუნებულ იქნას ღილზე თითის დაჭერით.

**სურათზე:** ტელესკოპის საერთო ხედი.



## შენდება მოსკოვი

მოსკოვის მშენებლებს ჯერ არასოდეს არ გადაუციათ საექსპლოატაციოდ იმდენი საცხოვრებელი სახლი, რამდენიც წელს. ქალაქის ცენტრში შენდება ახალი კორპუსები, განაპირა უბნებში ახალი საცხოვრებელი კვარტალები იქმნება. დედაქალაქის მარტო კიევის რაიონში წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა 144 ათასი კვადრატული მეტრი ბინები.

**სურათზე:** ახალი საცხოვრებელი კორპუსები, რომლებიც შენდება კიევის რაიონში დედაქალაქის ახალ მაგისტრალზე — კუტუზოვის პროსპექტზე. წინა პლანზე — 10-სართულიანი სახლის მშენებლობა, რომლის საცხოვრებელი ფართობი 8.300 კვადრატული მეტრი იქნება.

ფოტო ვ. კოშევოისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

# მალე საბჭოთა ადამიანი

**მსოფლიო გაოცებულია საბჭოთა მეცნიერების ბრწყინვალე გამარჯვებით**

**ის ამბავი**, რომ საბჭოთა კავშირში გამოქვეყნდა დედამიწიდან მთვარის უხილავი მხარის ფოტოსურათები, რომელნიც საბჭოთა საპლანეტათშორისო ავტომატურმა სადგურმა გადაიღო, ელვის სისწრაფით მოედო მთელ მსოფლიოს. ყველა ქვეყნის საზოგადოებრიობასა და პრესას ეს ამბავი მიაჩნია საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ ტრიუმფად.

პოლონური გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“ მთელ პირველ გვერდზე წერს: „საბჭოთა მეცნიერების მეოხებით ჩვენ შევიცნობთ მთვარის იქითა მხარეს“. მესამე კოსმოსური რაკეტის სენსაციური ფოტოსურათები, აცხადებს გაზეთი, ამჟღავნებენ ვერცხლისფერი ბურთობის საიდუმლოებას.

ის, რაც ფანტაზიად გვეჩვენებოდა, მიღწეულია, წერს მეორე პოლონური გაზეთი „ჟიცე ვარშავი“. მთელი მთვარის სრულ გამოკვლევას, აღნიშნავს შემდეგ გაზეთი, დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ასტრონომიისათვის, რომელსაც შეუძლია აქედან გააკეთოს გარკვეული დასკვნები, რომლებიც ციურ სხეულთა წარმოშობას ეხებიან, არამედ აგრეთვე ასტრონავტიკისათვის.

„საბჭოთა მეცნიერებამ ისტორიაში პირველად უჩვენა კაცობრიობას მთვარის მეორე მხარის საიდუმლოებანი“. ასეთი სიტყვებით მიესალმება ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ მიღწევას.

საბჭოთა მეცნიერების ისტორიულ მიღწევას მთავარ ყურადღებას აქცევს პრაღის პრესა. გაზეთები აქვეყნებენ საკდესის ცნობებს, აგრეთვე მთვარის უკანა მხარისა და საპლანეტათშორისო სადგურის ფოტოსურათებს. „რუდე პრავო“ ამ მასალებს აქვეყნებს დიდი სათაურით „საბჭოთა მეცნიერების ახალი ტრიუმფი“.

„ნაჩვენებია მთვარის უკანა მხარის სახე“, — წერს გაზეთი „პრაცე“. მსოფლიოში პირველად ტელევიზიის დახმარებით გაკეთებული და დედამიწაზე გადმოცემულია ფოტოსურათები კოსმოსური სივრციდან დიდ მანძილზე“. რა ტრიუმფია — ხაზგასმით აღნიშნავს ამ გაზეთის კომენტატორი ზ. ლავიჩკა. საბჭოთა საპლანეტათშორისო სადგურმა არა თუ შემოუფრინა მთვარეს ზუსტად მიცემული პროგრამით, არამედ აგრეთვე განახორციელა

## მთვარეზე დაადგამს ფეხს

ყველაზე ძნელი ამოცანა — გადაიღო ადამიანისაგან დაფარული მთვარის უკანა მხარის ფოტოსურათი. ამრიგად, დღეიდან ყველას გვეცოდინება, რომ მთვარის დამალულ მხარეზე არის კრატერული მოსკოვის ზღვა და ციოლკოვსკის კრატერი. საბჭოთა კოსმოსურმა რაკეტამ გააშუქა მთვარის „ბნელი“ მხარე!

ბუდაპეშტის გაზეთები გამოვიდა დიდრონი სათაურებით, რომლებიც გვაუწყებენ, რომ კაცობრიობამ, ბოლოს, დაინახა მთვარის უკანა მხარე. „ვაქვეყნებთ მთვარის მეორე მხარის პირველ ფოტოსურათს. საბჭოთა საპლანეტათშორისო სადგური 40 წუთის განმავლობაში ფოტოგრაფიული აპარატით იღებდა მთვარის უხილავ მხარეს“, — წერს სათაურში მთელ პირველ გვერდზე „მადიარ ნემზეტი“. დედამიწიდან მთვარის უხილავი მხარის აქვე მოთავსებულ გამოსახულებას გაზეთი უწოდებს „საუკუნის ფოტოგრაფიას“.

მთვარის უხილავი მხარის ფოტოსურათები, რომლებიც 26 ოქტომბერს საღამოს მოსკოვიდან გადასცეს, ლონდონში მიღებული იყო, როცა ინგლისის გაზეთების დილის გამოშვება უკვე იბეჭდებოდა. მაგრამ ყველა გაზეთმა მოასწრო მოეთავსებინა საკდესის ცნობა მთვარის უნიკალური ფოტოსურათების გამოქვეყნების შესახებ, რომელნიც მიღებულია საბჭოთა ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურიდან. გაზეთები „დეილი სკეტჩი“, „დეილი მირორი“, „დეილი ეორკერი“, „ნიუს ქრონიკლი“ პირველ გვერდებზე დიდრონი სათაურებით ათავსებენ ცნობას, რომ საბჭოთა მეცნიერებმა დაამთავრეს მუშაობა დედამიწიდან მთვარის უხილავი მხარის ფოტოსურათების დაბეჭდვისათვის მომზადების შესახებ, მოყავთ ამის შესახებ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ა. ა. მიხაილოვის აზრები.

რუსმა მეცნიერებმა წარმოადგინეს მთვარის იმ მხარის ახალი რუკა, რომელიც დღემდე არასოდეს კაცს არ დაუნახავს, წერს გაზეთი „დეილი მი რორი“.



მთვარემ თქვა: ბადრი ვიყავი,
ზოგმა სატრფოსაც მადარა.
თქმულა ათასი იგავი —
მზემ როგორ დამწვა პატარა·
მხატავდნენ ნაირნაირად,
მიმღერდა ბევრი პოეტი.

მიწოდეს ოქროს დაირაც,
პირხავსე რომ ამოვედი.
ღამღამით, როცა ბნელოდა,
მიჯნური ხის ქვეშ მიცდიდა.
ეურმე დაპყრობა მელოდა
მშვიდობის დიდი მიწიდან.

ლრუბელმა ბევრჯერ ჩამკეტა,
გულს დამაჩინა იარა.
დღეს სურათს მიღებს
რაკეტაც,
ირგვლივ რომ შემომიარა.
ნახ. გ. ფირცხალავასი.

გაზეთ „ნიუს ქრონიკლს“ თავისი მეცნიერი კორესპონდენტის სტატიაში სათაურით „რუსები ამჟღავნებენ მთვარის საიდუმლოებას“ მოყავს ერთ-ერთი ინგლისელი ასტრონომის სიტყვები, რომელმაც განაცხადა, რომ ფოტოსურათების გამოქვეყნება წარმოადგენს ყველაზე გასახარელ ამბავს ასტრონომიის ისტორიაში.

26 ოქტომბერს საღამოს მთვარის საბჭოთა ფოტოსურათები უჩვენეს ინგლისელ ტელემაყურებლებს. ინგლისის საპლანეტათშორისო მიმოსვლის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა კენეტ გეტლენდმა პრეს ასოშეიშნის სააგენტოს კორესპონდენტთან ინტერვიუში აღნიშნა საბჭოთა მეცნიერების მიღწევათა დიდი მნიშვნელობა სამყაროს შეცნობის საქმეში.

„სინამდვილემ კვლავ გადააჭარბა ოცნებას“, — წერს პარიზის გაზეთი „პარიზიენ ლიბერე“ საბჭოთა მეცნიერების ახალი შესანიშნავი მიღწევის შესახებ. ამ ცნობამ სენსაცია გამოიწვია ფრანგულ პრესაში. პარიზის ყველა გაზეთი მეტად თვალსაჩინო ადგილებზე ბეჭდავს მთვარის, ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის დიდ ფოტოსურათებს, აგრეთვე საკდესის ცნობის დაწვრილებით შინაარსს. გაზეთი „პარიზიენ ლიბერე“ იმ დასკვნამდე მიდის, რომ საპლანეტათშორისო ავტომატური სადგური „წარმოადგენს უფრო მეტად სრულყოფილ საფრენ ლაბორატორიას, ვიდრე წინათ ვფიქრობდით, და რომ სახელწოდება „კოსმოსური ლაბორატორია“ მთლიანად გამართლებულია“.

„დიდი მადლობა რუს მეცნიერებს! ვაშა საბჭოთა მეცნიერების უკვდავ მიღწევას!“ — ასეთი სიტყვებით შეხვდნენ იაპონიის გაზეთები და რადიოელსადგურები საბჭოთა კავშირში მთვარის უხილავი მხარის ფოტოსურათების გამოქვეყნების ამბავს. იაპონიაში მთვარის უხილავი მხარის ფოტოსურათების გადაღებას დიდი მოუთმენლობით ელოდნენ და როგორც კი ისინი მიიღეს, იაპონიის ყველა დიდმა გაზეთმა „ასახიმ“, „მაინიციმ“, „იომიურიმ“ და სხვებმა დაუყოვნებლივ გამოუშვეს სასწრაფო გამოშვება, სადაც მოთავსებული იყო ეს სურათები.

იაპონიის რადიომაუწყებლობის კორპორაციის კომენტატორი კავაკიმოტო, აუწყებს რა მსმენელებს მთვარის უკანა მხარის ფოტოსურათების გამოშვებას, აცხადებს, რომ ამ ფოტოსურათებით კაცობრიობამ შეაღო მრავალსაუკუნოვანი „საიდუმლოების კარი“. „ჩვენ გულწრფელად გამოვთქვამთ აღტაცებისა და მადლობის გრძნობას საბჭოთა მეცნიერებისადმი“, — თქვა კავაკიმოტომ.

„ეს განსაცვიფრებელია, დიდებულია“, — განაცხადა იაპონიის სამეცნიერო საბჭოს პრეზიდენტმა კანესიგემ, რომელსაც საკდესის კორესპონდენტმა მიმართა თხოვნით გამოეთქვა თავისი აზრი მთვარის უხილავი მხარის ფოტოსურათების შესახებ. „მე სიტყვას ვერ ვპოულობ, რომ სრულად გამოვხატო ჩემი აღფრთოვანება. ამ წარმატებით, — ხაზგასმით აღნიშნა მან, — საბჭოთა მეცნიერებმა განახორციელეს კაცობრიობის დიდი ხნის ოცნება“. (საკდესი).

# შენთვის, ჩემო სამშობლოვ!

## უპატაკებენ გურჯაანელები

**გურჯაანის** რაიონის მევენახეები ენერგიულად იბრძვიან დიდი ოქტომბრის დღესასწაულის ღირსეულად შეხვედრისათვის. 27 ოქტომბრისათვის მათ წარმატებით გაანაღდეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის დარგში ნაკისრი ვალდებულება. გეგმით გათვალისწინებული 19.850 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 24.000 ტონა ყურძენი.

განსაკუთრებით დაწინაურდა სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობა, რომელმაც სახელმწიფოს მიჰყიდა 1.805 ტონა ყურძენი ნაცვლად 860 ტონისა, ველისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ — 1.642 ტონა ნაცვლად 800 ტონისა, ხოლო კარდანახელმა კოლმეურნეებმა 1.917 ტონა. გეგმა კი 1.300 ტონა ყურძნის მიყიდვას ითვალისწინებდა. სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვა გრძელდება.

## ხმას უერთებენ ინიციატორებს

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საამქროებში დიდი გამოცოცხლება იყო. ფეიქრები ეცნობოდნენ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ორი დიდი საწარმოს ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი და ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნების კოლექტივების მიმართვას საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

ფაბრიკის მთელი კოლექტივი ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის და იკისრა გადიდებული ვალდებულებები — 1959 წლის საწარმოო დავალებებს შეასრულებენ გადაჭარბებით და გეგმის ზევით გამოუშვებენ 15 მილიონი მანეთის პროდუქციას; სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცემენ 450.000 მეტრ მზა აბრეშუმისა და 240.000 მეტრ ხამ ქსოვილებს; შრომის ნაყოფიერებას გაზრდიან სამი პროცენტით; გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულებას შეამცირებენ მილიონ 400.000 მანეთით; რაციონალიზატორული წინადადებების წარმოებაში დანერგვით მიიღებენ 350.000 მანეთის ეკონომიას; მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში დაამთავრებენ და ექსპლოატაციაში გადასცემენ 48 ბინიან საცხოვრებელ სახლს.

## აფართოებენ ასორტიმენტს

მომხმარებელი ხალისით იძენს მინანქრიან ჭურჭელს, გაზის აპარატურას, რომლებსაც ქარხანა „თბილგაზაპარატი“ ამზადებს. საწარმოს კოლექტივი განუხრელად აფართოებს პროდუქციის ასორტიმენტს. ახლახან აქ წარმატებით აითვისეს და უკვე დაამზადეს გაზის ავტომატური წყალგამთბობის საცდელი ნიმუშები. ამ პროდუქციას ნოემბრის დღესასწაულისათვის მიიღებენ მშრომელები.

წელს საწარმო 17 ათას გაზის ავტომატურ წყალგამთბობს გამოუშვებს.

დიდი ოქტომბრის 42-ე წლისთავისათვის ქარხნის კოლექტივი შეუდგება საავადმყოფო პალატის ნიმუშების მიხედვით დამზადებული ახალი ტიპის რძის ასადუღებელი ქვაბების და ტაფების გამოშვებას. წარმატებით არის ათვისებული აგრეთვე ტიტანის მინანქრიანი ჭურჭლის წარმოება. ასეთი ჭურჭელი გაცილებით მოხერხებული, ლამაზი და გამძლეა.

შვიდწლედში გათვალისწინებულია მინანქრიანი ჭურჭლისა და გაზის აპარატურის წარმოების მკვეთრი გადიდება. მინან... ქრიანი ჭურჭლის წარმოება გაიზრდ... 1.500 ტონით, ხოლო გაზის აპარატურ... სა — დაახლოებით 200 პროცენტით. მო... მავალი წლიდან დაიწყება ქარხნის რ... კონსტრუქცია, საამქროებში დაიდგმ... ახალი სრულყოფილი მანქანა-დანადგ... რები, განხორციელდება საწარმოო პრო... ცესების ავტომატიზაცია და კომპლექ... სური მექანიზაცია.

კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშ... ნულებისა და საოჯახო საქონლის წარმო... ების გადიდების, ასორტიმენტის გაფარ... თოებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათ... ვის სკკპ ცენტრალური კომიტეტისა დ... სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ... შემუშავებულ ღონისძიებათა პასუხად... ქარხნის კოლექტივმა იკისრა წლიურ... დავალება ვადაზე ათი დღით ადრე გ... ანაღდოს და გეგმის გადამეტებით ათეუ... ათასობით მანეთის პროდუქცია მიაწო... დოს მომხმარებელს.

## ვინც გვასახელა

მაღაროს ეზოს ცენტრალურ ადგილზე მოწყობილია კარგად გაფორმებული ორი დაფა. ერთზე გაკეთებულია წარწერა: „ვინც გვასახელა“, მეორეზე — „ვინც შეგვარცხვინა“. ამ დაფებზე ნახავთ იმ ადამიანების გვარებს, რომლებმაც ოქტომბრის დღესასწაულისათვის მზადების დღეებში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი შრომაში. ამოიკითხავთ იმ ადამიანების გვარებსაც, რომლებიც ცუდად მუშაობენ, დავალებებს ვერ ასრულებენ.

წარჩინებული ადამიანების სასახელო საქმეებზე ყოველდღიურად მოუთხრობს მაღაროს რადიოკვანძი.

სოციალისტური ვალდებულებებით სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივს ნაკისრი აქვს წლიური გეგმის გ... დამეტებით ამოიღოს სულ მცირე 5.00... ტონა მარგანეცი.

სამეურნეო წლის დასაწყისში მაღარო... კოლექტივი არათუ ვალდებულებას, გეგ... მასაც ვერ ასრულებდა. მაგრამ მაღარო... ელებმა თანდათან გარდაქმნეს მუშაობა... აქ განსაკუთრებული შრომითი პათოს... და აღმავლობაა ოქტომბრის ზეიმისათვ... მზადების დღეებში. ამის საუკეთესო დ... მადასტურებელია სექტემბრისა და ოქ... ტომბრის პირველი ნახევრის შრომით... მაჩვენებლები. ახლა მაღაროს კოლექ... ტივი ყველა დავალებას გადაჭარბებით ასრულებს. მარტო ერთ თვეში მაღარო... მეტალურგიას მისცა 1.480 ტონა ზეგეგ... მითი პირველხარისხოვანი მარგანეცი, ხოლო ოქტომბრის პირველ ნახევარში გეგმის ზევით გამოშვებულია 600 ტ... ნამდე პირველხარისხოვანი მარგანეცი.

ერთმანეთს ეჯიბრებიან ი. წერეთლ... რ. ხარშილაძის, ვ. ფანჩულიძის და ... წერეთლის უბნები, რომლებიც მაღალ... ყოფიერად შრომობენ. მაგრამ წინ მაინ... იმ უბნის კოლექტივი მიდის, რომელს... გამოცდილი სამთოელი ი. წერეთელი ... ღვება. იგი სადღესასწაულო ვახტზე დგ... და ყოველდღიურ გეგმებს 115-120 პრო... ცენტით ასრულებს.

წინასაოქტომბრო დღეებში ახალი ად... მიანებით შეივსო გაგანოველთა რიგებ... მოწინავე ცვლის უფროსი, ინჟინერი ... ყვავაძე სამუშაოდ გადავიდა ჩამორჩენილ უბანში. მან განსაკუთრებული ყურადღ... ბა მიაქცია სანგრევების წესიერად მო... ზადებას, რკინიგზის გაყვანას, გამაგრ... ბას, ბურღვა-აფეთქებას. დაირაზმნ... მაღაროელებიც, და რა მოხდა? უბნის კ... ლექტივმა თვის გეგმა გადაჭარბებით შ... ასრულა, ხოლო ოქტომბრის პირველ ნახევარში 500 ტონამდე ზეგეგმითი მ... დანი მოგვცა.

მაღაროელებში დიდი შრომითი აღმ... ვლობა გამოიწვია ცნობამ საქართველო... კომპარტიის XX ყრილობის მოწვევ... შესახებ. ამ დღეებში დავალებებს 150-160 პროცენტით ასრულებენ სახელმოხვეჭ... ლი მაღაროელები ი. ტყემალაძე, ლ. ცი... ცქირიძე, ბ. კაპანაძე, შ. წივილაშვილი, ა... ლომთაძე, გ. გოგოლაძე, ანდრო და გ... ორგი ცარციძეები. ისინი მომავალ... წლის ანგარიშში მუშაობენ. (საქ. კორ.)

## ბოსტნეულის დამზადების წლიური გეგმის შესრულება

**1959 წლის 25 ოქტომბრისათვის**

**ბოსტნეულის დამზადების წლიური გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში 25 ოქტომბრისათვის შესრულებულია 50,9 პროცენტით. 1958 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ბოსტნეულის დამზადებამ შეადგინა 149,7 პროცენტი.**

**დამამზადებელი ორგანიზაციებისა და რაიონების მიერ ბოსტნეულის დამზადების წლიური გეგმის შესრულება 1959 წლის 25 ოქტომბრისათვის ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:**

(პროცენტობით)

| | |
|---|---|
| **საქართველოს კონსერვტრესტი** | 55,3 |
| გურჯაანის რაიონი | 73,7 |
| ლაგოდეხის | 84,7 |
| წყალტუბოს | 46,1 |
| სამტრედიის | 70,0 |
| წულუკიძის | 21,2 |
| **ცეკავშირი** | 41,7 |
| ბორჯომის რაიონი | 73,3 |
| თეთრი წყაროს | 26,4 |
| ყვარლის | 47,3 |
| სიღნაღის | 70,7 |
| დუშეთის | 32,2 |
| კასპის | 31,7 |
| საგარეჯოს | 31,2 |
| ბოლნისის | 13,3 |
| ხაშურის | 68,8 |
| გორის | 44,4 |
| ქარელის | 41,7 |
| საჩხერის | 88,2 |
| ადიგენის | 26,6 |
| ახალქალაქის | 1,6 |
| ახალციხის | 58,7 |
| თელავის | 71,3 |
| ახმეტის | 17,2 |
| დმანისის | 0,5 |
| ვანის | 56,8 |
| აბაშის | 32,7 |
| აფხაზეთის ასსრ | 38,6 |
| აჭარის ასსრ | 102,3 |
| სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 35,4 |
| **თბილისის ხილბოსტანვაჭრობა** | 60,1 |
| ქ. თბილისი-სამგორის რაიონი | 68,4 |
| მარნეულის | 48,9 |
| მცხეთის | 55,9 |
| წალკის | 1,1 |

**გეგმის საერთო შესრულებაში შედის გეგმისგარეშე დამზადებული: ცეკავშირის სისტემაში—სამტრედიის რაიონში— 204 ტონა, კონსერვტრესტის სისტემაში — თერჯოლის რაიონში — 671 ტონა და ჩოხატაურის რაიონში — 28 ტონა.**

**საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო**

ეროვნული ბიბლიოთეკა



წელს ცაგერის რაიონში საფუძველი ჩაეყარა საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფერმას. ამ ახალი საქმის წარმატებაში სერიოზული წვლილი შეაქვთ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს დომნა მეგრელიშვილს, ნინო ჩხეტიანს, დოდო ქარსელაძეს, მერი ჩაკვეტაძეს და ვენერა გუგავას.

ეს ახალგაზრდა გოგონები დიდ სიბეჯითეს იჩენენ ფრინველების მოვლა-პატრონობაში. ფერმას უკვე ჰყავს სამი ათასი წიწილა და ქათამი, ხოლო წლის ბოლოსათვის ეყოლება ხუთი ათასი ფრთა ქათამი. **სურათზე:** კომკავშირელი მეფრინველეები **ნინო ჩხეტიანი** და **დოდო ქარსელაძე.**

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

# კარგი აბრა და ულამაზო საქმე

## არა, არ შეიძლება მოვითმინოთ ასეთი ნაკლოვანებანი საქარის საცდელი სადგურის მუშაობაში

კარგა ხნის ისტორია აქვს საქარის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის საცდელ სადგურს. აქ ჯერ კიდევ 1890 წელს შეიქმნა ამერიკული ვაზის სანერგე, რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1922 წლიდან აქ საცდელი სადგურია. კეთილმობილური ვალი აკისრია სადგურის კოლექტივს: მან უნდა გამოიყვანოს და გაავრცელოს ვაზის ახალი ჯიშები, შეიმუშაოს და დანერგოს ვაზის მავნებლებთან ბრძოლის ახალი ხერხები, გააუმჯობესოს ღვინის ტექნოლოგია. და, ცხადია, ყოველივე ეს კოლმეურნეობებში დანერგოს, ხალხის კუთვნილება გახადოს. ამისათვის აქ ყველა პირობაა შექმნილი.

საცდელ სადგურს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის 20 ჰექტარი ხეხილის ბაღი და 30 ჰექტარზე მეტი ვენახი აქვს. აქ არის აგროტექნიკის, სელექციის, მცენარეთა დაცვისა და ტექნოლოგიის განყოფილებები, რომლებსაც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატები გ. გაფრინდაშვილი, ალ. მიროტაძე, გ. დეკანოიძე და ვ. კინწურაშვილი ხელმძღვანელობენ. საცდელ სადგურს ჰყავს ჩვიდმეტი მეცნიერ-მუშაკი, რომელთაგან ათი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატია, ორი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. ეს მეცნიერ მუშაკთა დიდი ძალაა. აქ არის საკმაოდ მოზრდილი პარტიული ორგანიზაციაც.

საცდელ სადგურში თითქოს ყველაფერი სანიმუშო და საჩვენებელი უნდა იყოს. მაგრამ ვამბობთ პირდაპირ, რომ, სამწუხაროდ, ეს ასე როდია. სადგურის მუშაკთა შორის ფეხმოდგმულია უდისციპლინობა, დაუდევრობა, უპასუხისმგებლობა. აქ პატივს არა სცემენ კრიტიკასა და თვითკრიტიკას, სუსტია კომუნისტების ბრძოლისუნარიანობა, მომთხოვნელობა. პარტიული ორგანიზაცია თანმიმდევრულად ვერ იბრძვის მიღებულ გადაწყვეტილებათა ნამდვილად შესრულებისათვის, ხშირად სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მოწყვეტილია ცხოვრებას.

მეცნიერ მუშაკებთან ერთად თითქმის ფეხდაფეხ დავათვალიერეთ საცდელი ნაკვეთები. როგორ შეიძლება ადამიანს გული არ ატკინოს მოუვლელმა, სარეველა ბალახით გადავლილმა, ცრუფარიანათი დაავადებულმა ნაკვეთებმა?

— ჩვენთან მოდიან ექსკურსანტები, კოლმეურნე მევენახეები. მათ ვუჩვენებთ საცდელ ნაკვეთებს, ვაძლევთ რჩევა-დარიგებას, — გვეუბნება საცდელი სადგურის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ა. გიგინეიშვილი. მაგრამ მას ალბათ კიდეც რცხვენია, როცა ექსკურსანტებს „სანიმუშო" ნაკვეთებს უჩვენებს. საეჭვოა რომელიმე კოლმეურნემ სადგურის მუშაკთა რჩევა-დარიგება დაიჯეროს, როცა მათ მიერ „მოვლილ" ნაკვეთებს დაათვალიერებს და თუ პირდაპირ არა, გულში მაინც არ გამოთქვამს გაკვირვებასა და სინანულს: ეს საცდელ-სანიმუშო ნაკვეთია? სად არის აქ მეცნიერთა ხელი?!

ჯერ კიდევ იანვარში საცდელი სადგურის კომუნისტთა კრებამ განიხილა საკითხი ნაკვეთებში საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ. მოხსენება სწავლულმა მდივანმა ლ. ქოჩიაშვილმა გააკეთა.

— ნაკვეთების მოვლა-პატრონობა სამარცხვინო მდგომარეობაშია. მესამე ნომერ ნაკვეთში ცხენები გაუშვიათ. ამ საქმეს გულგრილად ეკიდება დირექციაც და თვითეული ჩვენთაგანიც, — თქვა კამათში გამოსულმა აგროტექნიკის განყოფილების გამგემ გ. გაფრინდაშვილმა.

— ჩვენთან სუსტია დისციპლინა. მერვე ნომერი ნაკვეთი მოუხნავია, მუშაობა უხარისხოდ მიმდინარეობს, — განაცხადა მეცნიერ მუშაკმა ლ. სუთიძემ.

— სელექციის განყოფილების ნაკვეთები ცუდად გამოიყურება. განყოფილებათა გამგეებიც არ ვგრძნობთ პასუხისმგებლობას, დირექცია სუსტად გვეხმარება, — დასძინა სელექციის განყოფილების გამგემ გ. დეკანოიძემ. სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე პ. ჯაფარიძე, გ. გამცემლიძე, შ. ქათამაძე. დადგენილებაც ცუდი როდი მიიღეს. ასეთი გამოსვლები შემდეგაც ხშირად მოუსმენიათ, დადგენილებებიც მიუღიათ, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ყველაფერი ეს საქმეს ნაკლებად შველის.

მარტში პარტიულმა კრებამ ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი განიხილა: პარტიის XXI ყრილობის შედეგები და პარტიული ორგანიზაციის ამოცანები. მომხსენ[illegible] საცდელი სადგურის დირექტორი ა. გიგინეიშვილი. მოხსენება ოქმს თან ერთვის. დაწვრილებით გავეცანით მას. ყრილობის შედეგებზე იქ ვრცლად არის მოთხრობილი, მაგრამ ერთ სიტყვასაც ვერ ნახავთ საცდელი სადგურისა და მისი პარტიული ორგანიზაციის მუშაობაზე.

პარტიულ კრებებზე იქ ხშირად მოუსმენიათ და არაერთხელ დაუდგენიათ, რომ გარდაიქმნას სამეცნიერო საბჭოს მუშაობა, შეიქმნას სამეცნიერო სემინარი, მოეწყოს სამეცნიერო დისკუსიები და სხვ. მაგრამ ყველაფერი ეს ქაღალდზე დარჩა.

პარტიული ორგანიზაცია კარგად მოქცეულა, პარტიულ კრებებზე ცალკეულ განყოფილებათა მუშაობის შესახებ რომ უმსჯელია. მაგრამ მიღებულ დადგენილებებს ბევრი არაფერი შეუცვლია. აქ ასეთი შემთხვევაც მომხდარა. მაისში პარტიულ კრებას მოუსმენია აგროტექნიკის განყოფილების გამგის გ. გაფრინდაშვილის მოხსენება განყოფილების მუშაობის თაობაზე, მაგრამ დადგენილების პროექტი წინასწარ არ მოუმზადებიათ. კრების დადგენილებით ღონისძიებების შესამუშავებლად გამოუყვიათ კომისია ა. მიროტაძის, ა. ცერცვაძის, ლ. ქოჩიაშვილისა და გ. გაფრინდაშვილის შემადგენლობით. მაგრამ დადგენილების მომზადება, ჩანს, აღარავის გაახსენდა და შემოწმებისას იგი არსად აღმოჩნდა. რა აზრი აქვს საკითხის ასეთ განხილვას?

დროა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და პარტიის ზესტაფონის რაიონულმა კომიტეტმა საქმით, ნამდვილად ჩააყენონ საქარის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის საცდელი სადგური სოფლის მეურნეობის აღმავლობის სამსახურში.

მარტო კარგი აბრა საქმეს როდი შველის!

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

# ატომი მშვიდობის სამსახურში

## საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ატომგულის რეაქტორის გაშვების წინ

სადავემიშვებული ცხენის ფლოქვებით შარაზე აყენებული მტვერი ღრუბლივით ჩანდა მთვარის შუქზე. ჭალაში, გზისპირს ცისკარს დაელოდა ოძელაშვილი.

თურმე ცისკარს კი არა, სიკვდილს ელოდებოდა, „ბეჭებში დამბაჩა დასცეს, პირში ბოლი გავარდესა".

იმ დღიდან გახედვაც არ უნდოდათ მცხეთელებს იქითკენ, ცოდვიანი ადგილიაო.

მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა... საბჭოთა ადამიანებმა იმ ჭალაში ატომის რეაქტორი ააგეს...

რას მოგვცემს ატომი? ბომბებს?

საბჭოთა ხალხმა მსოფლიოს აჩვენა, რომ ატომი — ეს არის ელექტროსადგურები, ყინულმჭრელები, ენერგიის კოლოსალური წყარო, რომელიც გონიერმა ადამიანებმა მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის უნდა გამოიყენონ. ეს საბჭოთა მეცნიერების, საბჭოთა ხალხის ისტორიული დამსახურებაა კაცობრიობის წინაშე. ჩვენ გვსურს ატომის ჯადოქრული ძალა სახალხო მეურნეობის განვითარების, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების სამსახურში ჩავაყენოთ.

სწორედ ასეთ მშვიდობიან მიზნებს ემსახურება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ატომგულის რეაქტორი. სამი მხრიდან მაღალი მთებით შემორტყმულ თეთრად შეფეთქილ შენობას ერთი შეხედვით ისეთი არაფერი აქვს, რომ მნახველის ყურადღება მიიპყროს.

აგურით შემოზღუდულ ეზოში აქა-იქ შეჭუჩებულია მშენებლობის ნარჩენები. მთავარ კორპუსთან ახლა მებაღეები და დეკორატორები ფუსფუსებენ, რგავენ ყვავილებს, ბუჩქებს, ალამაზებენ მიდამოს.

მაღალი, ნათელი შენობის ყველაზე დიდ დარბაზში მოთავსებულია რეაქტორის ქვაბი. მას ახალი საღებავის სუნი ასდის. გარედან რკინაბეტონის სქელი ჯავშანი არტყია.

არ შეიძლება არ იგრძნო რა კვალიფიციური, ფაქიზი, დაძაბული შრომით არის შექმნილი ეს სასწაული. ბორის გრიგორიევი, თევდორე ჩერნოგლაზოვი, ნიკოლოზ გულეშოვი გამოცდილი მემონტაჟე-მშენებლები არიან, მაგრამ რეაქტორის ქვაბის მშენებლობაზე ისეთი სიფრთხილითა და დაკვირვებით მუშაობდნენ, თითქოს თავის სიცოცხლეში პირველად ახლა მოჰკიდეს ხელი საზეინკლო ინსტრუმენტებსო.

ეს შემთხვევითი ამბავი არ არის. ასეთი ობიექტი უაღრესად ფრთხილ და დაკვირვებულ მუშაობას მოითხოვს. ოდნავი არა სიზუსტე, ოდნავი წინდაუხედაობა შეიძლება საბედისწერო გახდეს ადამიანთა სიცოცხლისათვის.

რეაქტორის ყველა დეტალი ალუმინისაგან არის დამზადებული. ალუმინი ნაკლებად შეიწოვს ნეიტრონებს, მაგრამ ვერ უძლებს მაღალ ტემპერატურას. რეაქტორის მშენებლებმა მონახეს ამ მდგომარეობიდან გამოსავალი. რეაქტორის ქვაბი მოთავსებულია სტერილიზებულ წყალში. წყლის ფენის სისქე დაახლოებით ხუთ მეტრს აღწევს. რეაქტორის თბური რეჟიმის რეგულირება წყლის საშუალებით ხორციელდება.

— ახლა ისეთ ციებ-ცხელებაში ვართ, რომ კაცი თავის მოსაფხანად ვერ მოიცლის, — ხუმრობით შენიშნავს რეაქტორის წამყვანი ინჟინერი ვახტანგ ახალკაცი. ამ სიტყვებში სრული სიმართლეა. რეაქტორის მშენებლები ახლა ისეთ ყოფაში არიან, როგორც მევენახე რთვლის წინ. ამთავრებენ დამხმარე ნაგებობებს, წესრიგში მოჰყავთ ლაბორატორიები, სათავსები, იზოტოპების შესანახი საშახტო საკანი. ცისტერნებიდან რეაქტორის აუზში ტუმბავენ სტერილიზებულ წყალს. საბოლოოდ აზუსტებენ წყლის ხარჯვის რაოდენობას თვითეულ კასეტზე. ცოტა ხანიც და რეაქტორის ბეტონის ჯავშნის შიგნით ატომგულის ბობოქარი ძალა დაისადგურებს, დაიწყება ურანის ატომების დაშლის ჯაჭვური რეაქცია.

ატომების დაშლა, ჯაჭვური რეაქციის განვითარება მხოლოდ ატომების ნებასურვილით როდი იწარმოებს. დღეს მეცნიერებას უნარი შესწევს არა მარტო გამოიწვიოს ჯაჭვური რეაქციები, არამედ სურვილისამებრ წარმართოს კიდეც მათი მოქმედება. რეაქტორში შეიტანენ სპეციალურ მარეგულირებელ ღეროებს, რომლებიც ელექტრონებს გამოიწოვენ და რეაქციაც შეწყდება.

ამ ღეროების მართვა იწარმოებს სპეციალური სამართავი პულტიდან, რომელიც ურთულესი და უზუსტესი მანქანა-ხელსაწყოებით არის აღჭურვილი. ათვალიერებ სამართავი პულტის მოწყობილობას და გაოცება გიპყრობს: რა გონებამ შექმნა, რა ხელმა დაამზადა ასეთი რამ. შეიძლება იფიქრო კიდეც, რომ რეაქტორის მშენებლები რაღაც განსაკუთრებული არაჩვეულებრივი ადამიანები არიან. მაგრამ გაეცნობით მათ და უმალვე დარწმუნდებით, რომ არც ასეა საქმე. გურამ ქარუმიძე, ავთანდილ მანჯავიძე, შუქური აბრამიძე, მურმან წულაია, სამუელ ტულკასი, რეაქტორის მშენებელთა მთელი კოლექტივი ჩვეულებრივი მეცნიერი მუშაკები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მუშები არიან. მათ მხოლოდ მონდომება და სიყვარული აქვთ, განსაკუთრებული სიყვარული საქმისა და ხალხისადმი.

რას მოგვცემს ატომის რეაქტორი? ბომბებს?

არა, ჩვენს ხალხს ბომბები არ აინტერესებს, ჩვენ არ ვანგრევთ, ჩვენ ვაშენებთ, ვაშენებთ კომუნიზმს. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ატომგულის რეაქტორიც ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის წარმატებისათვის არის გამიზნული. იგი დღემოკლე იზოტოპებით მოამარაგებს ამიერკავკასიის სამეცნიერო დაწესებულებებს. ამ იზოტოპებს გამოიყენებენ მედიცინაში ავთვისებიანი სიმსივნისა და სხვა მძიმე დაავადებისაგან ადამიანების განსაკურნავად; ამ იზოტოპებს გამოიყენებენ ბიოლოგიაში, სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში.

როგორც ცნობილია, იზოტოპები მკვეთრი გამოსხივების უნარით ხასიათდებიან. იზოტოპების დახმარებით უმალვე შეგვიძლია აღმოვაჩინოთ დეფექტები სხმულში, ლითონის შენადუღში. ძნელია იზოტოპების ყველა სარგებლობის ჩამოთვლა. ისინი გამოყენებული იქნება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, სადაც კი ნიშანდებული ატომების სამსახური გვჭირდება. ატომის რეაქტორი საშუალებას მისცემს ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებს წარმატებით შეისწავლონ ბირთვული პრობლემები, დააყენონ სხვადასხვა ექსპერიმენტები ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენებისათვის.

მართალია, ატომგულის რეაქტორი ახალი ამბავია ჩვენი რესპუბლიკისათვის, მაგრამ ჩვენმა მეცნიერებმა, რეაქტორის მშენებლებმა ამ სიახლეშიც სიახლე შეიტანეს. ეს სიახლეა რადიაციული კონტური — გამა გამოსხივების ზემძლავრი წყარო, რომელსაც უდიდესი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამ ბაზაზე შესაძლებელია შეიქმნას სამრეწველო მიზნებისათვის გამოსაყენებელი უფრო სპეციალიზებული რეაქტორები.

ატომი ემსახურება მშვიდობას.

ა. ხუჭუა,
გ. ჩიქვინიძე.

# პარტიული ქრონიკა

## ტექნიკური პროგრესისათვის

**ბათუმი.** (საკ. კორ.). პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი ბათუმის სამრეწველო კომბინატის საწარმოებში საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ახალი ტექნიკის დანერგვის მდგომარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ ამ საწარმოებში უკანასკნელ ხანებში დიდი მუშაობა გასწიეს შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ახალი ტექნიკის დანერგვისათვის. მაგრამ ბევრ საწარმოში კვლავ დაბალია მექანიზაციის დონე, მთელი რიგი შრომატევადი პროცესები კვლავ ხელით სრულდება.

ეს ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ საწარმოთა ხელმძღვანელებს დღემდე არ გარდაუქმნიათ მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. ხოლო სამრეწველო კომბინატის ხელმძღვანელობა ჯეროვნად არ ეხმარება მათ, სუსტად ახორციელებს კონტროლს არსებული ტექნიკის გამოყენებასა და ახალი ტექნიკის დანერგვაზე, სათანადოდ არ ხელმძღვანელობს ტექნიკური კომისიების მუშაობას.

საქალაქო კომიტეტის ბიურომ დასახა ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

## რაიკომი იხილავს კოლმეურნეობის ანგარიშს

**წყალტუბო.** (საკ. კორ.). პარტიის რაიკომის ბიურომ ამ დღეებში განიხილა სოფელ ოფურჩხეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის (თავმჯდომარე ი. ავალიანი) ანგარიში. აღინიშნა, რომ ერთგვარ წარმატებათა მიუხედავად, კოლმეურნეობის გამგეობის, საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობა, სუსტად ემზადებიან გამოზამთრებისათვის.

ირღვევა არტელის მართვის დემოკრატიული პრინციპები. გამგეობის სხდომებზე იღებენ ისეთ დადგენილებებს, რომლებიც კოლმეურნეთა საერთო კრების გადაწყვეტას მოითხოვენ.

საკოლმეურნეო შრომაში მონაწილეობას არ იღებს შრომისუნარიან კოლმეურნეთა მნიშვნელოვანი ნაწილი.

კოლმეურნეობაში დიდია დებიტორული დავალიანება, იგი 108 ათას მანეთს აღემატება.

ეს ნაკლოვანებები იმის შედეგიც არის, რომ კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია სათანადოდ ვერ ახორციელებს გამგეობის სამეურნეო საქმიანობისადმი სკკპ წესდებით მინიჭებულ კონტროლის უფლებებს.

პარტიის წყალტუბოს რაიკომის ბიუროს მიერ მიღებული დადგენილება ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებითაც მიღწეულ უნდა იქნას კოლმეურნეობის გამგეობისა და პირველადი პარტორგანიზაციის მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა უმოკლეს დროში გამოსწორება.

# ესახელებათ სწავლა და შრომა

— ამ გლინის საშუალებით აბაზანაში უწყვეტ ნაკადად ჩადის ორმილიმეტრიანი მუყაო — აგვიხსნა ქერათმიანმა გოგონამ და ორთქლის ბურუსში გახვეულ ვეებერთელა ქვაბზე გვანიშნა. აქ ორი წუთის განმავლობაში იჟღინთება მუყაო № 3 ბითუმით, მერე საშრობ კარადაში გადადის, აქედან მეორე აბაზანაში ამოყოფს თავს და № 5 ბითუმის თხელი ფენით იფარება...

— და პროდუქციაც მზად არის?!

— არა, — უმალ გაგვეხმიანა ჩვენი ახალბედა მასპინძელი, — აბაზანიდან ამოსული მუყაო გაივლის ბუნკერს, სადაც გაცრილი სილა ეყრება, შემდეგ მისი ქვედა მხარე კაოლინის სუსპენზიის ხსნარს გაივლის, რათა მწებიანობა დაკარგოს, ბოლოს მზა პროდუქცია დამხვევ დაზგაზე მიდის და...

სვეტლანა აგამალოვამ, მორცხვად დახარა თავი და გამომეტყველებით გვამცნო — ეს უბრალო საქმედ არ მიიჩნიოთ. სწორედ რომ უბრალო როდია და ამ გოგონასაც მარტო მშობლიურ სკოლაში არ შეუსწავლია ის, არამედ ტოლრუბეროიდის ქარხანაში პრაქტიკული მეცადინეობებით გაუღრმავებია სკოლაში მიღებული ცოდნა. სწავლის მხრივ ხომ მთელ სკოლაში არა ჰყავს მას ბადალი — პირველი კლასიდან მეათემდე ისე მოვიდა, რომ ხუთზე ნაკლები ნიშანი არასოდეს მიუღია. საზაფხულო არდადეგების პერიოდში ტოლ-რუბეროიდის ქარხანას მიაშურა, როგორც მუშამ და ამჯერადაც მოწინავე გახდა...

ამიტომ არის, რომ ახლა იგი ყოველ დილით სხვებთან ერთად მხიარულად, ამაყად მიდის სკოლისაკენ; აღმზრდელებს, ამხანაგებს უამბობს თავის შრომით საქმიანობაზე, თავადაც ბევრს გაიგებს ახალს.

მართლაც, ფოთის მე-3 საშუალო სკოლაში (დირექტორი შ. კაკულია), სადაც მუშაობენ გამოცდილი პედაგოგები ი. პანოვი, ო. ბედროსოვა, კ. ნადარაია, ი. შიხლიაროვა და სხვები, ნაყოფიერად იმუშავეს ახლებურად სწავლებისათვის სათანადოდ მოსამზადებლად. გაფართოვდა სკოლის სახელოსნო, საუცხოოდ მოეწყო ელექტროტექნიკის, სახარატო, სადურგლო და მანქანათმცოდნეობის კაბინეტები, სადაც დამატებით დაიდგა ხუთი სახარატო და ერთი სადურგლო დაზგა.

განა ცოტა აქვთ სალაპარაკო სკოლის სარემონტო ბრიგადის წევრებს იური მატვეევს, მიმოზა ჯიქიას, ნინო ღადუას, ნიკოლოზ მოისეევს, ბორის აბაკუმოვს. მათ ჯერ კიდევ სკოლის შარშან ჩატარებული რემონტით გაითქვეს სახელი. წელს უფრო ნაყოფიერი მონაწილეობა მიიღეს რემონტის ჩატარებაში. 10 ივლისს დაიწყეს 9 საკლასო ოთახის, 220 მერხის, 18 მაგიდის შეკეთება და 5 აგვისტოსათვის მორჩნენ ყველა სამუშაოს. დაზოგილი 4000 მანეთი სკოლის სახურავის შეღებვას, ახალი ღუმელების დადგმას და ახალი სპორტული ინვენტარის შეძენას მოხმარდა.

არც მოსწავლეთა ბრიგადა ჩამორჩენილა. ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებში იმუშავეს მეშვიდე და მერვე კლასების გოგონებმა და ბიჭუნებმა. აქ გამოცდილი აგრონომების ხელმძღვანელობით სხლავდნენ ისინი ლიმონის, მანდარინის, გრეიპფრუტის ნარგავებს, აკეთებდნენ ბუდნებს, სარეველებისაგან ასუფთავებდნენ წყალსაწრეტ არხებს, სასუქი შექონდათ ნიადაგში. მოსწავლეთა ბრიგადებმა შრომით საკმაო ფულიც გამოიმუშავეს და მეურნეობის დირექციისაგან მადლობაც მიიღეს. მოსწავლეებმა მეურნეობაში პრაქტიკული საქმიანობით განიმტკიცეს სკოლაში მიღებული თეორიული ცოდნა, გამოიმუშავეს საზოგადოებრივი შრომის ჩვევები. მაგრამ ამ თვალსაზრისით უფრო დიდი და მნიშვნელოვანი ღონისძიება მიმდინარე სასწავლო წლიდან განხორციელდა. სკოლის მეცხრე კლასის ოცდაათი მოსწავლე საწარმოო სწავლებისათვის მიმაგრებულია გემთშემკეთებელ სახელოსნოზე. აქ შერჩეული არიან საუკეთესო ცოდნისა და გამოცდილების მქონე პედაგოგები, მოსწავლეთა პრაქტიკული მუშაობისათვის გამოყოფილია სასწავლო ინვენტარებით სრულყოფილად აღჭურვილი საამქროები, მუშა მოსწავლეებისათვის შეკერილია სპეცტანსაცმელი. ისინი დამოუკიდებლად გამოჩარხავენ სახელოსნოსათვის საჭირო ქანჩიკებს, ქანჩებსა და სხვა მარტივ დეტალებს, შეიძენენ პრაქტიკული მუშაობის ჩვევებს და საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ჩადგებიან მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკთა რიგებში. ამ სკოლის მრავალი კურსდამთავრებული ყოველწლიურად ხალისით მიეშურება წარმოებაში სამუშაოდ. მათგან საამაყონი არიან ლამარა გარუჩავა, იური პატულსკი, ვალერი მიმინოშვილი, მიტია ფინიკოპულო, იგორ პავლოვი, რომლებიც ქალაქის საწარმოებში მუშაობენ ხარატებად, ზეინკლებად, დურგლებად...

საამოდ წკრიალებს სკოლის ზარი. ბეჯითი სწავლითა და შრომითი ჩვევების შეძენით გულანთებული მოსწავლეები ამაყად შედიან ნათელ საკლასო ოთახებში, კაბინეტ-ლაბორატორიებში, სახელოსნოებში. ისინი მუდამ მზად არიან სწავლისა და შრომისათვის. მათ სწავლასთან ერთად შრომაც ესახელებათ.

პ. კომახიძე,
ი. დოლბაია.

# წერილების კვალდაკვალ

გორის რაიონის სოფელ ძევერის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. წიქარიძე და საწყობის გამგე ნ. ჯოლბორდი ანიავებენ საკოლმეურნეო ქონებას, — გვწერდა ჩვენი გაზეთის მკითხველი.

მამხილებელ წერილზე იმსჯელა საქართველოს კპ გორის რაიონულმა კომიტეტმა, რომელსაც წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა. წერილში მოყვანილი ფაქტები სავსებით დადასტურდა.

რაიკომის ბიურომ საყვედური გამოუცხადა სოფელ ძევერის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. მ. წიქარიძეს და ურჩია კოლმეურნეთა საერთო კრებას გაათავისუფლოს იგი კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან კოლმეურნეობაში დიდი დებიტორული დავალიანების დაშვებისათვის, აგრეთვე სხვა სერიოზული ნაკლოვანებებისათვის. პარტიული სასჯელი დაედო აგრეთვე და კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივნის თანამდებობიდან განთავისუფლებულ იქნა ამხ. ი. ზედგინიძე, რომელიც თვითნებურად წავიდა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ხილის გასაყიდად.

# მკითხველთა გულისტკივილი

## გვპირდებიან, მაგრამ...

დუშეთის რაიონის სოფელ ჟინვალში სკოლას საკუთარი შენობა არა აქვს. ამიტომ მოსწავლეებს შორის უხდებათ სიარული. ბიბლიოთეკა ისეთ პატარა ოთახშია მოთავსებული, რომ 5-6 კაცი თუ დაეტევა.

კინოსურათი?! ეს ხომ ოცნებად გვაქვს გადაქცეული... მართალია, გვპირდებიან კლუბს აგიშენებთო, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩება.

ა. ბედოშვილი,
ჟინვალჰესის მორიგე ელექტრიკოსი.

## ლომოურს ასე სურს...

საქმე საათივით იყო აწყობილი. ყვარლის რაიონის მშრომელები დიდად კმაყოფილნი იყვნენ ავტოტრანსპორტის მუშაობით...

მაგრამ... ყვარლის ავტოსადგურს ახალი ხელმძღვანელი — ე. ლომოური მოევლინა. მისი პირველი განკარგულება იყო მანქანების მიმოსვლის გრაფიკის შეცვლა. უფროსს არა სურს, და ახლა თელავის ავტობუსები არ მოდიან ყვარელში. ამბობს: ამ საქმეს ყვარლის ავტობუსებიც გაართმევენ თავსო... სინამდვილეში კი ვერ გაართვეს თავი, დაირღვა ავტობუსების მიმოსვლის გრაფიკი, არ სრულდება მგზავრთა გადაყვანის გეგმები.

ი. ბეროშვილი,
მასწავლებელი.

## როდემდის ველოდოთ?

წელს სხალთაში (ხულოს რაიონი) უნდა გახსნილიყო სასადილო, საპარიკმახერო, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის სახელოსნოები, უნდა აეშენებინათ მაღაზიის შენობა.

გაიხსნა მხოლოდ ტანსაცმლის სამკერვალო, და ისიც უზრუნველყოფილი არ არის საჭირო ინვენტარით.

წელი მთავრდება, როდემდის ველოდოთ?

დ. სურმანიძე.

## სოფლის „პატრიოტები"

აგვისტოში ნიაღვარმა წალეკა სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო ბოდბისხევის წყალსადენის მილები. ზოგმა „პატრიოტმა" მობინადრემ ეს მილები შინ წაიღო და სახლის ბოძებად გამოიყენა.

ამიტომ ახლა ქვემო ბოდბისხევში მოსახლეობას სასმელი წყალი არა აქვს, არც არავინ ზრუნავს ამისათვის.

დ. ზურაშვილი.

## სად გაქრა ფული?

სოფელი კომანდელი ზედ ქალაქ ონს ეკვრის, ცენტრიდან სულ რაღაც ნახევარი კილომეტრით არის დაშორებული, მაგრამ ვერ მოხერხდა რამდენიმე ძირი ბოძის ჩადგმა, რომ სოფელს ჰქონოდა ელექტროგანათება.

სოფელმა ამისათვის განსაზღვრული თანხაც კი შეაგროვა, მაგრამ ფული უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

ვ. გოგლიძე.



**სურათზე:** ინჟინერი ავთანდილ მანჯავიძე (მარცხნივ) და უფროსი ტექნიკოსი ივანე იმედაშვილი სამართავ პულტთან და საკონტროლო ფართან აწარმოებენ წყლის ხარჯვის გამზომი ხელსაწყოს რეგულირებას.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# წინ მიდიან მძიმეწონოსნები

**სოხუმი.** (საკ. კორ.). რკინიგზის სოხუმის სალოკომოტივო დეპოს კოლექტივმა ფართოდ გაშალა შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 42-ე წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

შეჯიბრებაში წინ მიდიან მძიმეწონოსნები. მემანქანე კ. ჩაჩავამ გადაიყვანა შვიდი მძიმეწონიანი მატარებელი და გეგმის გადამეტებით გადაიტანა 1.988 ტონა ტვირთი. მემანქანეებმა ა. ბოიკაძემ და ა. შათირიშვილმა 6-6 მძიმეწონიანი მატარებელი გადაიყვანეს.

ახალ შრომით წარმატებებს აღწევს აგრეთვე სარემონტო საამქროს კომპლექსური ბრიგადა, რომელმაც ელექტრომავლების მცირე პერიოდული შეკეთებისათვის საჭირო დრო 0,7 საათით შეამცირა.

შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგებს აღწევენ ზეინკლები ა. ლევენეცი, მ. მოსეშვილი, პ. ბერეზნოი, რომლებიც ორ-ორნახევარ ნორმას ასრულებენ.

# საზღვარგარეთ

## ა. ი. მიქოიანი ფინეთში

**ჰელსინკი,** 28 ოქტომბერი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა, რომელიც აქ მეგობრული ვიზიტით იმყოფება, გუშინ იმოგზაურა ქალაქ რაუმაში.

რაუმაში სულ 20 ათასი მცხოვრებია, მაგრამ ეს არის დიდმნიშვნელოვანი სამრეწველო და სანავსადგურო ქალაქი. აქ არის სააქციო საზოგადოება „რაუმა-რეპოლას“ ძირითადი საწარმოები, რომლის სტუმარი გუშინ იყო ა. ი. მიქოიანი. „რაუმა-რეპოლა“ ყველაზე დიდი ფინური ექსპორტიორია საბჭოთა კავშირში. წელს საზოგადოება საბჭოთა კავშირს მიაწვდის 135,5 მილიონი მანეთის გემებსა და სხვა პროდუქციას.

ხალხით სავსე მოედანზე ქალაქის რატუშის შენობის წინ ა. ი. მიქოიანს მიესალმა ქალაქის მერი ოქსანენი.

დამსწრეთა ტაშის გრიალში მერმა ოქსანენმა ა. ი. მიქოიანს გადასცა სამახსოვრო საჩუქარი — ქალაქ რაუმას მედალი.

ა. ი. მიქოიანმა საპასუხო სიტყვაში მადლობა გადაუხადა ქალაქის მცხოვრებთ გულთბილი შეხვედრისათვის. ა. ი. მიქოიანის სიტყვებმა, რომლებითაც მან გამარჯვება უსურვა საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრობას, მოწონების ხმამაღალი შეძახილები და მქუხარე ტაში გამოიწვიის.

ა. ი. მიქოიანი და სხვა სტუმრები გაემართნენ ვისკოზური ცელულოზის ქარხანაში, შემდეგ გაიცნეს ვერფი და მანქანათსაშენებელი საამქრო. მუშები ყველგან თავაზიანად ხვდებოდნენ ა. ი. მიქოიანსა და სხვა სტუმრებს.

რაუმას ვერფი ასრულებს საბჭოთა კავშირის დიდ შეკვეთებს. იქ უკვე აშენდა სსრ კავშირისათვის 90 გემი, აქედან 10 ტანკერი.

მექანიკურ საამქროში საწარმოს მუშათა სახელით მუშების მთავარი რწმუნებული ი. კუუსიო მიესალმა ა. ი. მიქოიანს.

ა. ი. მიქოიანმა მადლობა გადაუხადა მუშებს მისალმების გულთბილი სიტყვებისათვის და გადასცა საბჭოთა მუშების სალამი.

სტუმრებმა დაამთავრეს საწარმოს დათვალიერება და შევიდნენ ფირმის კლუბში, სადაც სააქციო საზოგადოება „რაუმა-რეპოლას“ სახელით გენერალურმა დირექტორმა პ. ჰონკაიურიმ საუზმე გამართა ა. ი. მიქოიანისა და სხვა სტუმრების პატივსაცემად.

საღამოს ა. ი. მიქოიანი და სხვა სტუმრები სპეციალური თვითმფრინავით დაბრუნდნენ ჰელსინკში.

**ჰელსინკი,** 28 ოქტომბერი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა გუშინ ჰელსინკის საბჭოთა საელჩოში ვახშამი გამართა ფინეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლებისათვის.

**ჰელსინკი,** 28 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ჰელსინკიდან მოსკოვს გაემგზავრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი, რომელიც იმყოფებოდა აქ ფინეთის მთავრობის მოწვევით.

იმავე თვითმფრინავით მოსკოვს გაფრინდნენ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი და საბჭოთა მთავრობის სავაჭრო დელეგაციის წევრები, აგრეთვე ფინეთის ელჩი სსრ კავშირში ე. ვუორი.

აეროდრომზე საბჭოთა სტუმრები გააცილეს ფინეთის პრემიერ-მინისტრმა ვ. ი. სუკსელაინენმა, ფინეთის მთავრობის წევრებმა, დიპლომატიური კორპუსის წევრებმა, ჰელსინკის საქმიანი წრეებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, ფინელმა და უცხოელმა ჟურნალისტებმა.

აეროდრომზე ა. ი. მიქოიანმა და ვ. ი. სუკსელაინენმა ერთმანეთს მიმართეს სიტყვებით.

## ლტოლვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისაკენ

**ბერლინი,** 27 ოქტომბერი. (საკდესი). ყოველთვე იზრდება დასავლეთ გერმანიის მოქალაქეთა გადასვლა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. როგორც ადნის სააგენტო იუწყება, ივნისის დამდეგიდან ოქტომბრის შუა რიცხვებამდე მარტო პრიტცირის მიმღებ პუნქტში გაიარა 71 პროცენტით მეტმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან მოქალაქემ, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში. გადასახლებულთა შორის მნიშვნელოვნად გადიდდა კვალიფიციური მუშების, კერძოდ, მაღაროელებისა და მეტალურგების რიცხვი.

უკანასკნელ თვეებში იმ ახალგაზრდათა რიცხვმა, რომლებიც ისწრაფვიან თავიდან აიცილონ ბუნდესვერში სამსახური, შეადგინა იმ პირთა თითქმის 70 პროცენტი, რომლებიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადადიან.

გადიდდა აგრეთვე იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადადიან მზარდი პოლიტიკური ტერორის გამო დასავლეთ გერმანიაში. ერთ-ერთმა მათგანმა, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოფილმა წევრმა და პროფკავშირულმა მოღვაწემ ქალაქ ზეგებერგიდან ე. ფიშერმა განაცხადა, რომ დასავლეთ გერმანიაში მას განუწყვეტლივ დევნიან იმის გამო, რომ იგი მხარს უჭერს მეგობრობის დამყარებას საბჭოთა კავშირთან, ორივე გერმანული სახელმწიფოს მუშათა კლასის ერთიანობას.

## ყოველი მხრიდან

◆ ბრაზილიის ხალხი იწონებს. ◆ ადენაუერის პარტიის მარცხი. ◆ როკფელერი მხარს უჭერს ატომური იარაღის გამოცდას. ◆ უცხოეთის ჯარების თავმოყრა ერაყის საზღვრებზე. ◆ დაიწვა დედამიწის ორი ამერიკული თანამგზავრი

**მონტევიდეო,** 27 ოქტომბერი (საკდესი). ბრაზილიის მთავრობის გადაწყვეტილებამ გაგზავნოს სსრ კავშირში სავაჭრო მისია, დიდი ინტერესი გამოიწვია ბრაზილიის საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებში, საქმიან წრეებსა და პრესაში. გაზეთ „ულტიმა ორის“ ცნობით, ბრაზილიის საქმიანი წრეები „კმაყოფილებით და სიმპათიით შეხვდნენ მთავრობის ამ ინიციატივას“. გაზეთი აღნიშნავს, რომ მწარმოებელთა უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტმა ველასკეს ვარგასმა განაცხადა: „ბრაზილია მხოლოდ სარგებლობას ნახავს თავისი ეკონომიკისათვის სსრ კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენით“. „მსოფლიოს ქვეყნების მეტ ნაწილს, — ხაზგასმით აღნიშნა მან, — სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობა აქვს სსრ კავშირთან, და არ მესმის, რატომ იკავებს ბრაზილია თავს ამისაგან“.

სან-პაულოს სავაჭრო ფედერაციის პრეზიდენტმა ლუის გონსაგა მარტინს კოსტამ განაცხადა: „ურთიერთობის აღდგენა უდიდეს სარგებლობას მოუტანს ბრაზილიის ეკონომიურ ცხოვრებას“. სავაჭრო ასოციაციის პრეზიდენტმა ემილიო ლანგ ჟუნიორმა, აღნიშნა რა სსრ კავშირთან არა მარტო სავაჭრო, არამედ აგრეთვე დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის საჭიროება, განაცხადა: „ვერ წარმომიდგენია სავაჭრო გაცვლა ქვეყნებს შორის, თუ არ იქნა დიპლომატიური ურთიერთობა... დიპლომატიური ურთიერთობის უქონლობამ შეიძლება ერთგვარი სიძნელეები შეუქმნას სავაჭრო გაცვლას“.

იწონებს რა მთავრობის გადაწყვეტილებას, ბრაზილიის ერთ-ერთი დიდი პოლიტიკური მოღვაწე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ყოფილი თავმჯდომარე ოსვალდო არანია აცხადებს, რომ „ურთიერთობის აღდგენა მსოფლიოს ყველა ხალხთან და, კერძოდ, რუსეთთან, აუცილებელი და ხელსაყრელია ბრაზილიისათვის“.

კომენტარს უკეთებს რა საბჭოთა კავშირში სავაჭრო მისიის გაგზავნის ცნობას, „ულტიმა ორა“ წერს, რომ „საზოგადოებრივმა აზრმა გაიმარჯვა“.

**ბონი,** 27 ოქტომბერი. (საკდესი). აქ გამოცხადდა შლეზვიგ-ჰოლშტაინის მხარის კომუნალური არჩევნების საბოლოო შედეგები. არჩევნები გაიმართა კვირას. შედეგები მოწმობენ, რომ ადენაუერის პარტიამ — ქრისტიან-დემოკრატიულმა კავშირმა არჩევნებში განიცადა მნიშვნელოვანი ზარალი. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ჩანს ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის დამარცხება კომუნალური არჩევნების შედეგებისა და ბუნდესტაგის 1957 წლის არჩევნების შედეგების შედარების დროს. თუ მაშინ ქრისტიან-დემოკრატიულმა კავშირმა მიიღო ხმების 48,1 პროცენტი, ახლა ამ პარტიამ მიიღო მხოლოდ 39,9 პროცენტი. როგორც გაზეთი „ვესტფელიშე რუნდშაუ“ აღნიშნავს, ბუნდესტაგის არჩევნებთან შედარებით ქრისტიან-დემოკრატიულმა კავშირმა დაკარგა 170 ათასზე მეტი ხმა.

**ნიუ-იორკი,** 27 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობით, ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი მულტიმილიონერი ნ. როკფელერი გამოვიდა ტელევიზიით. შეკითხვაზე, მიაჩნია თუ არა მას, რომ შეერთებულმა შტატებმა უნდა განაგრძონ ატომური იარაღის გამოცდა, მიუხედავად საბჭოთა კავშირის ამასწინანდელი წინადადებებისა განიარაღების შესახებ? როკფელერმა უპასუხა: „პირადად მე მიმაჩნია, რომ უნდა განაგრძონ. ვფიქრობ, ნებას ვერ მივცემთ ჩვენს თავს ჩამოვრჩეთ ატომგულის მასალების გამოყენების ტექნიკაში“.

**ბაღდადი,** 27 ოქტომბერი (საკდესი). ერაყის გაზეთი „ითიჰად აშ-შააბი“ წერს, რომ ამჟამად წარმოებს სირიის ქვეგანაყოფების გადაყვანა ლიბანის სასაზღვრო რაიონებიდან ერაყის საზღვრებისაკენ. „ითიჰად აშ-შააბის“ ცნობებით, დაბა სი ქხაიბირი აღმოსავლეთ სირიაში გადაიქცა უცხოური წარმოშობის იარაღის განაწილების ბაზად.

გაზეთი „ითიჰად აშ-შააბი“ აგრეთვე იუწყება იორდანიის შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფების გადაყვანის შესახებ ერაყის სასაზღვრო რაიონებში.

**კაირო,** 27 ოქტომბერი (საკდესი). კაიროს პრესა აღნიშნავს იორდანიის მეფის ჰუსეინის განცხადებას ინგლისის გაზეთ „ნიუს ქრონიკლისადმი“, რომელშიც იგი გამოთქვამს მზადყოფნას გაგზავნოს იორდანიის ჯარები ერაყში „კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად“.

**ნიუ-იორკი,** 27 ოქტომბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, დედამიწის ორი ამერიკული ხელოვნური თანამგზავრი წარსულ კვირას გამოვიდა ორბიტიდან. სააგენტოს სიტყვით, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ხელოვნურმა თანამგზავრმა „დისკავერერ-VI“ („აღმომჩენი-VI“), რომელიც გაშვებულია 19 აგვისტოს, 20 ოქტომბერს შეწყვიტა ორბიტაზე მოძრაობა მას შემდეგ, რაც დედამიწას შემოუარა 965-ჯერ. კემბრიჯში (მასაჩუზეტსის შტატი), სმიტსონიანის ინსტიტუტის ასტროფიზიკურმა ობსერვატორიამ განაცხადა, რომ ხელოვნური თანამგზავრი „დ“ექსპლორერ-IV“ („გამომკვლევი-IV“), რომელიც გაშვებულია 1958 წლის 26 ივლისს, 22 ოქტომბერს გამოვიდა ორბიტიდან.

როცა დედამიწის ატმოსფეროში შევიდა, აღნიშნავს სააგენტო, როგორც ჩანს, ორივე თანამგზავრი დაიწვა დიდ სიმაღლეზე.

## შემთხვევა ფერმაში

**ახალციხე.** სოფელ ხვირის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის პიროტყვს, რომელიც მთის საძოვრებზე იმყოფება, შემოეჩვია ნადირი. ერთ ღამეს ჯოგს დათვი მიადგა. ფერმის გამგე ვ. შუბითიძე, რომელიც ფხიზლობდა, ხმაურზე სწრაფად გამოვიდა კარავიდან. სიბნელეში მან ძლივს გაარჩია დათვი, რომელიც 2 ნაგაზს იგერიებდა. ადამიანის დანახვაზე მხეცი უკანა ფეხებზე შედგა და თავდასხმისათვის მოემზადა. დაყოვნების დრო არ იყო.. უიარაღოდ გამოსული კოლმეურნე არ დაიბნა, იქვე დაგდებულ ცულს დაავლო ხელი და თავში დაარტყა დათვს. მხეცი დარეტიანდა. შემდეგ გაიმართა ხანმოკლე ბრძოლა, რომელშიც ადამიანმა გაიმარჯვა. (საქდესი).

## ფართოვდება თანამშრომლობა საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის

1959 წლის 20-24 ოქტომბერს ქალაქ მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საბჭოთა კავშირ-გერმანიის კომისიის X სესია.

კომისიამ განიხილა მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შედეგები და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვნად გაფართოვდა და გაღრმავდა თანამშრომლობა ორივე ქვეყანას შორის. კომისიის X სესიაზე ორივე მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა რაოდენობა მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის დარგში ორჯერ აღემატება იმ ვალდებულებათა რაოდენობას, რომლებიც იკისრეს კომისიის IX სესიაზე.

ამასთან უმეტესი ხვედრითი წონა უკავია თემატიკას მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის, ქიმიისა და ნავთობქიმიის, შავი და ფერადი მეტალურგიის, ელექტროტექნიკის, მშენებლობისა და საშენი მასალების და მრეწველობის სხვა ორივე ქვეყნისათვის უფრო დიდმნიშვნელოვან დარგებში.

მეცნიერულ-ტექნიკური გამოცდილების ურთიერთ გაზიარების გზით მიღწეულია მნიშვნელოვანი სახსრების ეკონომია და შემცირებულია საპროექტო და მეცნიერულ-კვლევით სამუშაოთა შესრულების ვადები როგორც სსრ კავშირში, ისე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

კომისიამ მოისმინა აგრეთვე ორივე ქვეყნის იმ ცალკეული სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების წარმომადგენელთა ანგარიშები, რომლებიც თანამშრომლობენ ერთმანეთთან და დასახა ინსტიტუტების თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისა და გაუმჯობესების ღონისძიებანი.

### მაო ძე-დუნისა და ლ. შარკის შეხვედრა

**პეკინი,** 27 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი ქალაქ ძინანიდან (შანდუნის პროვინცია) იუწყება, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა აქ მიიღო ავსტრალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ლ. შარკი.

### ყვავილები მოსკოვისათვის

**სოხუმი.** (საკ. კორ.). მოსკოვის საქალაქო საბჭოს სუბტროპიკული და ბოლქვიანი კულტურების შავი ზღვის კომბინატი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში წლის ყოველ დროს დიდი რაოდენობით გზავნის სამხრეთის მცენარეებსა და ყვავილებს.

ამ დღეებში ახალი ათონიდან, სოხუმიდან და სხვა მეურნეობებიდან, რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიაზეა განლაგებული, მოსკოვში გაიგზავნა 300 ათასამდე ცალი ქრიზანტემა, გეორგინა და სხვა ყვავილები, აგრეთვე სამი ვაგონი პალმა, დაფნა, კამელია და 1.500 ძირი ლიმონის ხე.

ყვავილები დიდი რაოდენობით გაიგზავნა აგრეთვე სომხეთსა და უზბეკეთში.

ამჟამად კომბინატის მუშაკები გასაგზავნად ამზადებენ ყვავილებს ოქტომბრის დღესასწაულისათვის მოსკოვის მოსართავად.

### ქართული თამბაქო და ღვინო საერთაშორისო გამოფენაზე

ქალაქ ნიუ-დელიში (ინდოეთი) სასოფლო-სამეურნეო საერთაშორისო ბაზრობაში, რომელიც დეკემბერში გაიხსნება, მონაწილეობას იღებს ჩვენი რესპუბლიკაც.

ამ ბაზრობაზე მნახველები გაეცნობიან სხვადასხვა სახის ქართულ თამბაქოს და მის ნაწარმს — პაპიროსებს „საქართველოს“ და „რეკორდს“, სიგარეტს „კოლხიდას“ და მრავალ სხვას.

ინდოეთში საერთაშორისო ბაზრობაზე გაიგზავნა ქართული ღვინოები და კონიაკები, საქართველოს მინერალური წყლები, ქართული ყველი.



### დილა ბაკურიანში

დილაა, ბაკურიანის ლამაზი დილა. ვარდისფერმა ცისკარმა გაანათა მშვენიერი ფიჭვნარი. მთებმა ნისლი გადაირეკეს. ფრინველები ჟივილით შეხვდნენ ამომავალ მზეს და ლაჟვარდში გაიჭრნენ სანავარდოდ. გაიღვიძა საავარაკო სოფელმა. გზებზე გაისმა საძოვრად მიმავალი ნახირის ბღავილი.

ასე იწყება შემოდგომის ყოველი დღე ბაკურიანის წარმტაც მიდამოებში. ნახირი მთა-გორებს მოეფინება, ადამიანები კი საკოლმეურნეო ნაკვეთებს მოევლინებიან მოსავლის ასაღებად.

სურათზე: დილა ბაკურიანში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# ლიტერატურა და ხელოვნება



ამ დღეებში რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზსა და ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტები გამართა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა მევიოლინე ვიქტორ პიკაიზენმა. უცხოელი და საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებთან ერთად პიკაიზენმა საქართველოს სიმფონიური ორკესტრის თანხლებით დიდი წარმატებით შეასრულა სტალინური პრემიის ლაურეატის ოთარ თაქთაქიშვილის კონცერტინო ვიოლინოსათვის. უნდა აღინიშნოს, რომ თაქთაქიშვილის კონცერტინო ორკესტრთან ერთად პირველად პიკაიზენმა შეასრულა.

• • •

სურათზე: ვიქტორ პიკაიზენი.

### მღერის იოჟეფ შიმანდი

27 ოქტომბერს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაიწყო ბუდაპეშტის სახელმწიფო საოპერო თეატრის პრემიერის, კოშუტის სახელობის პრემიის ლაურეატის იოჟეფ შიმანდის გასტროლები.

მსახიობი ოპერა „აიდაში“ გამოვიდა რადამესის პარტიაში. მან ბრწყინვალედ იმღერა რადამესის გამოსასვლელი არია, რომელმაც მაყურებელთა მქუხარე ტაში გამოიწვია. მთელი სპექტაკლი მსახიობმა მაღალ მხატვრულ დონეზე ჩაატარა.

მსახიობს აქვს მშვენიერი ხმა (ლირიკულ-დრამატული ტენორი), რომელიც თანაბრად ჟღერს ყველა რეგისტრში.

ს. პოლიანოვი.

### ახალგაზრდა დრამატურგის წარმატება

ფოთის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივი ამ უკანასკნელ ხანს სერიოზულ ყურადღებას აქცევს თანამედროვე ცხოვრებას, საბჭოთა ადამიანების სცენურ ასახვას.

სეზონის პირველ პრემიერად წელს თეატრმა წარმოადგინა ახალგაზრდა დრამატურგის შ. ბათიაშვილის „ოქროს სათუთუნე“. ეს ავტორის მეორე პიესაა. მისი პირველი პიესა „შემცდარი ნაბიჯი“ თელავის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა განასახიერა და მაყურებლის დადებითი შეფასება მიიღო. „ოქროს სათუთუნე“ კი პირველად მახარაძის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა წარმოადგინა და მაყურებლის მოწონება დაიმსახურა.

პიესა დადგა რეჟისორმა ს. კალანდარიშვილმა, მხატვრულად გააფორმა გ. მილორავამ, მუსიკა დაწერა მ. აინბინდერმა.

სპექტაკლში როლებს ასრულებენ მსახიობები: გ. ებრალიძე, ჟ. ჩხეიძე, დ. მელქაძე, ა. დობორჯგინიძე, ტ. თვალთვაძე, ბ. ქუთათელაძე, რ. ქინქლაძე და სხვ.

პ. ნაცვლიშვილი.
კ. კოზბახიძე.

### უძლიერეს მოფარიკავეთა ასპარეზობა

ერევანში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა უძლიერეს მოფარიკავეთა ასპარეზობა სსრ კავშირის თასზე. მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, ერევნისა და სხვა ქალაქების სპორტსმენებმა.

ქალთა შორის რაპირით ბრძოლაში გარდამავალი ჯილდოს მფლობელი გახდა მსოფლიო ჩემპიონი ე. ეფიმოვა (მოსკოვის ოლქი). ვაჟთა შორის სხვადასხვა იარაღებით ასპარეზობაში პრიზები მოიპოვეს ვ. ჟდანოვიჩმა (ლენინგრადი), ა. ჩერნუშევიჩმა (მინსკი) და ე. ჩერეპოვსკიმ (ლვოვი).

### ფეხბურთში გამარჯვებულები

დამთავრდა ერთ-ერთი მასობრივი შეჯიბრება ფეხბურთში — რესპუბლიკური პირველობის გათამაშება მეორე ჯგუფის გუნდებისათვის. ასპარეზობაში მონაწილეობდა ფეხბურთელთა 50-მდე კოლექტივი, რომლებიც გაყოფილი იყო ოთხ ზონად.

ზონებში გამარჯვებულთა დასკვნითს ასპარეზობებს უნდა გამოევლინებინა, ვინ გადავიდოდა პირველ ჯგუფში. ეს შეხვედრები მოეწყო აღმოსავლეთის ჯგუფის გუნდებისათვის — რუსთავში, ხოლო დასავლეთის ჯგუფის გუნდებისათვის — ცხაკაიასა და სამტრედიაში. ამ შეხვედრებში გაიმარჯვეს და პირველ ჯგუფში გადავიდნენ გორის „ფეიქრის“, თბილისის სკვო-ს (პირველი), ზუგდიდის ოდიშისა და წულუკიძის გუნდები.

# სპორტის ამბები

### მონკავშირის სტენდზე

თბილისში მონადირეთა კავშირის სტენდზე რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ამავე საზოგადოების უძლიერეს მსროლელთა რესპუბლიკური შეჯიბრება.

კომპლექსურ შეჯიბრებაში (ადგილიდან და მრგვალ სტენდზე სროლა) მეორე ჯგუფის გუნდებს შორის პირველი ადგილი დაიკავეს მცხეთის სპორტსმენებმა. მეორე ადგილზე გამოვიდა გურჯაანის გუნდი, მესამეზე — ცხაკაიას მსროლელთა კოლექტივი.

პირველ ჯგუფში ადგილიდან სროლაში, როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვებული გამოვიდა თბილისის კოლექტივი, რომელმაც 800-დან 726 სამიზნე დააზიანა. მეორე ადგილი დაიკავეს სოხუმელმა სპორტსმენებმა, მესამე — მახარაძის რაიონის მსროლელებმა.

პირად ასპარეზობაში დიდი წარმატება ხვდა სოხუმელ კ. დარასელიას, რომელმაც 188 სამიზნე დააზიანა, შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა და პირველი ადგილი დაიკავა. ზ. მაჩხანელი მეორე ადგილზე გამოვიდა, ო. კობერიძე—მესამეზე. ამ უკანასკნელმაც შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

მრგვალ სტენდზე სროლაში უძლიერესი იყო თბილისის გუნდი.

კომპლექსურ სროლაში 1028 ქულით მონკავშირის ჩემპიონი გახდა თბილისის გუნდი. მეორე ადგილი დაიკავა აფხაზეთის გუნდმა (951 ქულა), მესამე — მახარაძის რაიონის გუნდმა (905 ქულა).

# გადარჩენილია 547 კაცი!

„SOS!“ ◆ ხანძარი ანადირის ყურეში. ◆ 550 კაცი საფრთხეშია. ◆ „კლარა ცეტკინი“ დასახმარებლად მიეშურება. ◆ კაპიტანს არა სურს დატოვოს გემი.

წყნარ ოკეანეზე მიმავალი გემების სასვლელ ჯიხურებში, ვლადივოსტოკში — შორეული აღმოსავლეთის საზღვაო სანაოსნოში მოსკოვში — სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრის კაბინეტში თითქმის ერთდროულად მიიღეს რადიოგრამები. რატომ უეცრად შეცვალეს კურსი გემების კაპიტნებმა? რატომ ასე შეშფოთებულია შორეული აღმოსავლეთის სანაოსნოს უფროსი? რა მოხდა, რომ სამინისტროს შენობის ჩვეულებრივად მყუდრო კორიდორებში განგაშის ქარმა დაჰქროლა?..

რადიოგრამებში ნათქვამი იყო:

SOS თბომავალი დვინა ანადირის ყურე საავარიო

5/10 2245 ადგილობრივი განედი 63 ნორდი გრძედი 173-30 ოსტი მანქანაში ხანძარია ვაქრობთ ყველა საშუალებით ბორტზე მგზავრები მყავს საჭირო დაუყოვნებლივ დახმარება

კაპიტანი ივანოვსკი.

და მაშინვე საზღვაო ფლოტის რადიოცენტრმა თბომავლებს „კლარა ცეტკინს“, „გენერალ პამფილოვს“, ყინულმჭრელ „ადმირალ მაკაროვს“ და გემ „დეკაბრისტს“ გადასცა მითითება: დაუყოვნებლივ სრული სისწრაფით გაეშურეთ გემისაკენ, რომელიც მარცხს განიცდის. მის ბორტზე არიან მგზავრები და ეკიპაჟი — სულ 550 კაცი.

...ეს მოხდა ანადირიდან უგოლნაიაზე გადასვლისას. გვიან საღამოს ჟამს არაფერი არ მოწმობდა საფრთხეს. მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთის ძლიერი ქარი, მხოლოდ დიდი ქაფიანი ფრთონა იყო... მგზავრები უკვე წავიდ-წამოვიდნენ კაიუტებში, რომ გემის შუა ნაწილში უეცრად რაღაცამ დაიგრიალა და მაშინვე გაისმა მანქანის ტელეგრაფის განგაშის მაუწყებელი ზარი.

ვახტის მექანიკოსმა ბოგაზე მოახსენა:

— გაურკვეველი მიზეზით მანქანაში აფეთქება მოხდა. ყველაფერს ცეცხლი მოედო...

— მშვიდად! — გასცა განკარგულება კაპიტანმა. — ყველანი ადგილებზე იყონ!

დაიწყო სასტიკი ბრძოლა ცეცხლთან. კაპიტანმა ალბათ იცოდა, რომ ზღვაში ყველაზე სახიფათოა შიში... შესაძლოა, მას კიდევაც გაახსენდა სიტყვები ალენ ბომბარისა, რომელმაც გასაბერი რეზინის ნავით ატლანტის ოკეანე გადასცურა: „ხომალდების მარცხის მსხვერპლნო, რომელნიც უდროოდ დაიღუპეთ! მე ვიცი: თქვენ მოგკლათ არა ზღვამ, მოგკლათ არა შიმშილმა, მოგკლათ არა წყურვილმა! ზღვის ტალღებზე თოლიების სევდიან კივილში ტალღებზე რომ ირყეოდით, თქვენ შიშით მოკვდით“.

არ დაანებოს, რომ ამ შიშმა შეიპყროს ადამიანები! გონივრულად და სწრაფად აქროს ხანძარი. ცეცხლი კი უკვე მოედო სათავსებს, მწვავე, სულისშემხუთავმა კვამლმა შეაღწია კაიუტებში, სალონებში, კამბუზებში. მაგრამ ადამიანებმა დაუჯერეს მეზღვაურებს. არც ტირილი იყო და არც პანიკა. მგზავრები მშვიდად და სწრაფად კრავდნენ ნივთებს, ტანთ აცმევდნენ მძინარე ბავშვებს და არიდებდნენ კვამლს — მიჰყავდათ ღია ბაქნების სუფთა ჰაერზე.

ხანძრის დაწყებიდან სულ ორი საათის შემდეგ „დვინასთან“ პირველი მივიდა თბომავალი „კლარა ცეტკინი“. მისი ბორტიდან „დვინის“ ბორტისაკენ ბრანდსპოიტები მიმართეს. ყველაფერს აყრუებდა ტუმბოების ხმაური, ცეცხლში აქაფქაფებული წყლის გუგუნი, ორთქლის შიშინი.

„კლარა ცეტკინის“ კაპიტანმა ანთიძემ გადაწყვიტა „დვინის“ ყველა მგზავრი აეყვანა, იქ კი დაეტოვებინა მხოლოდ იმდენი ადამიანი ორივე გემის ეკიპაჟებიდან, რამდენიც საჭიროა ხანძრის ჩასაქრობად.

— მატროსებმა მოამზადონ ნავები, თუ საჭირო გახდება გემის სავსებით მიტოვება! — გაისმა ბოგიდან...

მოგვყავს რადიოგრამები ეკიპაჟების ბრძოლაზე ხანძართან:

„15 საათი და 50 წუთი. ცეცხლი სწრაფად ვრცელდება. ბორტთან დიდი ფრთონაა. გადმოგვყავს ხალხი...“

„17.13. ცეცხლი გაძლიერდა. ბრძოლა უშედეგო ხდება. კნეხტები და როულსები ამოვარდნილია. შლანგები დაწყდა. ადამიანები გადმოგვყავს გემების სვლისას“...

„20.00. ვაზუსტებთ კოორდინატებს. განედი 63°21“ ნორდი, გრძედი 179°33‘ ოსტი. ყველა მგზავრი—სულ 470 კაცი, აგრეთვე ქალები „დვინის“ ეკიპაჟის შემადგენლობიდან „კლარა ცეტკინის“ ბორტზე არიან. მანქანაში ცეცხლი მინელებულია. სათავსები კიდევ იწვის. „კლარა ცეტკინი“ „დვინის“ ბორტთან არის და მანევრებს აკეთებს მანქანით. კვლავ წყდება შლანგები. ცეცხლი ვრცელდება კიჩოს სათავსებზე“.

21 საათსა და 41 წუთზე კაპიტანმა ანთიძემ რადიოთი გადასცა, რომ მანქანაში ცეცხლი სავსებით ლიკვიდირებულია. კიჩოს და ტვინდეკის სათავსები ინავლება. ქიმის ტვინდეკები წყალგაუვალია. ტიხრები, სათბობი, საწვავი ნივთიერებანი მთლიანად მოშორებულია. მგზავრები გადარჩენილი არიან. ერთი დაჭრილია. ეკიპაჟის წევრთაგან ცეცხლთან ბრძოლაში დაიღუპა სამი: მექანიკოსი ბალევი, მემანქანეები ბეზროდნი და აკიმოვი.

მესამე დღეს მანქანაში ცეცხლმა ახალი ძალით იფეთქა. „დვინის“ დახრილობა 18 გრადუსია. ეკიპაჟი კაპიტნის მეთაურობით უთანასწორო ბრძოლას განაგრძობდა. უკვე სამჯერ გადასცეს მას საზღვაო ფლოტის მინისტრის რადიოგრამა: „თუ „დვინის“ გადასარჩენად შემდგომი მუშაობა უიმედოა, ნებას გრთავ კაპიტანსა და ბოცმანს დატოვონ გემი“. რა გადაწყვიტა კაპიტანმა? ივანოვსკიმ პასუხად რადიოთი გადასცა:

„გრუნტზე არ დავჯდები. ღუზაზე დავდგები უგოლნაიას უბეში 8-9 მეტრ სიღრმეზე. ბოლომდე ვიბრძოლებ ხანძართან. მდგომარეობა ძალიან სერიოზულია...“.

ბოლოს ხანძარი დამარცხებულია. „დვინა“ ბუქსირზე აიყვანა ყინულმჭრელმა „ანასტას მიქოიანმა“, ხოლო თბომავალი „კლარა ცეტკინი“ გადარჩენილი ადამიანებით და დიზელელექტრომავალ „აკმოლინსკის“ თანხლებით პროვიდენიეს უბეში გაემართა.

მეზღვაურთა გამბედაობამ, გამძლეობამ, სიმტკიცემ სძლია საშინელი ხანძარი. 547 კაცი გადარჩენილია! სამი კი დაიღუპა ცეცხლთან ბრძოლაში, რომ გადაერჩინათ ამხანაგები, რომ გადაერჩინათ ადამიანები, რომ კვლავ სამშობლოს ალმით სერავდეს ზღვებს თბომავალი „დვინა“, რომელიც მძვინვარე ცეცხლსა და ზღვის ცივ უფსკრულს გამოსტაცეს.

ნ. ერმოლოვიჩი,
ო. სტროგანოვი.
(„იზვესტია“, 28-X).



სურათზე: სამგზავრო თბომავალი „დვინა“ რეისზე გასვლის წინ.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

## ტელევიზია

**29 ოქტომბერი**

19.30 — გადაცემა ციკლიდან — „შვიდწლედი მოქმედებაში“ — „დუშეთის რაიონი“, 19.50 — კინოჟურნალი, 20.10 — ახალი მხატვრული ფილმი „საგანგებო დავალებით“, 21.40 — უკანასკნელი ცნობები, 21.55 — სატელევიზიო ჟურნალი „ხელოვნება“ № 10.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.